საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუნი სიფფეა, ფეფილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკარგისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 5 მარტი. 2019 წ. №45 (8711) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ვალერიან ლომიძე:

რატომ გვედავებიან ქართულ მიწას?



ვისია ქართველთა საქართველო?!

6

3

ვის ბოსტანში ისვრის ქვებს რამაზ საყვარელიძე?!

ავთანდილ დემეტრაშვილი:

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მაჟორიტარული სისტემა ხელისუფლების სასარგებლოდ მუშაობს

5

9

ვირტუალური ლექცია ქართველ ემიგრანტებზე

გიორგი გახარია:

ეს იყო ერთი პრივილეგირებული ბიზნესმენის მცდელობა, პარლამენტის ტრიბუნიდან ჭორაობით მოიპოვოს იმუნიტეტი!..

ეს იყო ერთი პრივილეგირებული ბიზნესმენის პარლამენტის ტრიბუნიდან ჭორაობა, — ასე უპასუხა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ ჟურნალისტებს, „თიბისი ბანკის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის განცხადებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, მას გიორგი გახარიამ მუქარის წერილი მისწერა.

„ეს იყო ერთი პრივილეგირებული ბიზნესმენის მცდელობა, პარლამენტის ტრიბუნიდან ჭორაობით მოიპოვოს იმუნიტეტი. მე წერილებს არ ვწერ, მე სათქმელს პირდაპირ ვეუბნები და პირში ყველას. მათ შორის, იმ ხალხს, ვისთანაც საქმიანი ურთიერთობა მაქვს. პრივილეგირებულობა ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ბიზნესში. შანტაჟის ენაზე საუბარი საჯარო პოლიტიკიდან საერთოდ უნდა გაქრეს. მიუხედავად ამ შანტაჟით საუბრისა, ყველას მოუწევს პასუხი აგოს როგორც თავის ვალდებულებებზე, ასევე სიტყვებზე“, — განაცხადა გახარიამ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე „თიბისი ბანკის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ არჩევნების მეორე ტურის შემდეგ მიიღო მუქარის წერილი, რომელშიც ეწერა რომ, თუ კონკრეტულ ქმედებებს არ შეასრულებდნენ, ბანკს გაუნადგურებდნენ.

„არჩევნების მეორე ტურის წინ მე ვიღებ წერილს ერთ-ერთი მაღალჩინოსნისგან, რომელშიც პირდაპირი მუქარით გვეუბნება, რომ ისინი ჩვენს რეპუტაციას დაანგრევენ ადგილზე და საერთაშორისო ასპარეზზე — ეს წერილი მე მაქვს. ძალიან გამიკვირდა, რომ ასეთი წერილი დაწერეს და სიტყვიერად არ გვითხრეს. იქ იყო მოთხოვნები, რომელიც ჩვენ არ შევასრულეთ“, — განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

„ჩვენ ნამდვილად არ ვართ პოლიტიკოსები და არ ვაპირებთ წერილების ფრიალს, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანია... არ გვინდა პოლიტიკურ დებატებში ჩავერიოთ. გვინდა დაგვეხმაროთ, რომ შეიქმნას სიმშვიდე და გავაგრძელოთ საქმიანობა. წერილი იყო შს მინისტრისგან მოწერილი, ბატონი გახარიასგან. ეს არის მუქარის წერილი, რაღაცის შესრულების საფასურად, რომელიც ჩვენ არ გავაკეთეთ და არც გავაკეთებთ“, — ამბობს ხაზარაძე.

ეს არის აბსოლუტურად ნორმალური მოვლენა!

„ეს არის აბსოლუტურად ნორმალური მოვლენა. ბატონი ბიძინა გახლავთ წამყვანი მმართველი პარტიის თავმჯდომარე და მე თვითონ ჩავთვალე სასურველად, რომ იგი იყოს საქმის კურსში თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენი „აბაშიძე-კარასინი“ დიალოგი, — განაცხადა პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ. ზურაბ აბაშიძის თქმით, პრაღის შეხვედრაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა მას ჰკითხა, „თუ რითია გამოწვეული ეს აჟიოტაჟი, რაც მისი და ბიძინა ივანიშვილის შეხვედრას მოჰყვა“.

„ეს აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს გახლავთ ჩვენი შიდა პოლიტიკური კონიუნქტურის ნაწილი“, — ასე უპასუხა ზურაბ აბაშიძემ გრიგორი კარასინის შეკითხვას.

„ევროპულმა საქართველომ“ საპარლამენტო უმცირესობის სტატუსი დაკარგა

უმრავლესობის შემადგენლობიდან გია ჟორჟოლიანისა და მირიან წიკლაურის გასვლის შემდეგ „ევროპულმა საქართველომ“ უმცირესობის სტატუსი დაკარგა. დეპუტატების განცხადება უმრავლესობიდან გასვლის შესახებ ბიუროს სხდომაზე შევიდა განსახილველად.

„ევროპული საქართველო“ პარლამენტში ოცი დეპუტატით არის წარმოდგენილი. თუმცა დღეის მდგომარეობით საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის მიღმა 21 დეპუტატია, რაც არის საფუძველი უმცირესობის დაშლისა.

გია ჟორჟოლიანი და მირიან წიკლაური „პატრიოტთა ალიანსში“ გადავიდნენ

ფრაქცია „ქართული ოცნება — სოციალ-დემოკრატების“ ყოფილი წევრი გია ჟორჟოლიანი, პატრიოტთა ალიანსთან ახალ ფრაქციას ქმნის. ინფორმაციას თავად ჟორჟოლიანი ადასტურებს. ჟორჟოლიანთან ერთად „პატრიოტთა ალიანსის“ რიგებს მირიან წიკლაურიც შეუერთდება: **„ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მე და მირიან წიკლაურმა და პატრიოტთა ალიანმა ერთად გავაგრძელოთ საპარლამენტო ფრაქცია. „პატრიოტთა ალიანსი“ და სოციალ დემოკრატები ასეთი კონფიგურაციით“,** — განაცხადა გია ჟორჟოლიანმა.

ადა მარშანია გიგა ბოკერიამ აღაშფოთა!

პარლამენტში ერთმანეთს ადა მარშანია და გიგა ბოკერია დაუპირისპირდნენ. ადა მარშანიამ გიგა ბოკერიასთვის მიკროფონის გამორთვა მოითხოვა.

„დიმა, ხიე ერთი მაგას, ხიე რაა“, — მიმართა მარშანიამ დიმიტრი ცქიტიშვილს.

„როგორ ალაპარაკებთ ამ სადისტს, რომელიც ზის აქ და დემოკრატიაზე ლექციებს გვიკითხავს“, — აცხადებდა ადა მარშანია პარლამენტში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე.

ნატო ჩხეიძე: „...ღირსი ბრძანდებით იმ ამბისა, რა დღეშიც ახლა ხართ“!

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე დეპუტატმა ნატო ჩხეიძემ მამუკა ხაზარაძეს კითხვა „ომეგას“ საქმესთან დაკავშრებით დაუსვა.

„სოლიდარული ვარ ბატონი მამუკას მიმართ, რადგან ადამიანსა და ბიზნესზე ზეწოლა დასაგმობია. ბატონმა მამუკამ განაცხადა, რომ მასზე იყო ორკესტრირებული შეტევა და, ცხადია, ორკესტრს ჰყავს დირიჟორი. საზოგადოება ორკესტრსა და დირიჟორსაც შესაძლოა, თავად ხვდებოდეს, მაგრამ ურიგო არ იქნება, რომ ეს ბატონმა მამუკამ ბრძანოს.

დაახლოებით, ორი წლის წინ, თქვენი ბანკიდან, თქვენი ზეპირი მითითების საფუძველზე, გაიცა მილიონობით თანხა, დოლარის და ნაღდი კუპიურის სახით, ეს მაშინ, როცა ბანკს არ ჰქონდა ბენეფიციარი მესაკუთრის დოკუმენტაცია. ცხადია, რომ ეს მაშინ თქვენი მხრიდან იყო იძულება...

ხაზარაძის თქმით, მსგავსი არაფერი ყოფილა.

„მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ არანაირ სიტყვიერ განკარგულებას თანხის გაცემა-გამოცემაზე ადგილი არ ჰქონია, არანაირი ზარი ჩემთან „ამას მიეცით თანხა“ არ ყოფილა 27 წლის განმავლობაში ჩემი მხრიდან. დავინტერესდი მაგ თემით, მოვიწვიე შიდა აუდიტი და პირდაპირ გეუბნებით, ის თანხა, ჯერ გვაბრალებდა ბიზნესმენი, რომ ბანკი იყო დაკეტილი და თანხა იყოს გატანილი, გარწმუნებთ, ჩვენ არანაირ დაკეტილ ბანკში თანხა არ გაგვიცია, თანხა გაიტანა თქვენმა დირექტორმა თქვენივე ხელმოწერით,“ — ასე უპასუხა დეპუტატის კითხვას ხაზარაძემ.

ნატო ჩხეიძემ მამუკა ხაზარაძეს ხელმეორედ მიმართა:

„ახალა, რასაც თქვენ ბრძანებთ, რომ დირექტორების მიერ იყო გატანილ, დიახ, ბატონო ჩემო, მაგრამ თქვენ მშვენივრად იცით, რომ ბენეფიციარი მესაკუთრის დოკუმენტაციის არარსებობის დროს, რომელიც მხოლოდ ერთი თვის მერე მივიდა ბანკში, თქვენ არ გქონდათ უფლება და თქვენ ბანკს არ ჰქონდა უფლება, ეს თანხა გაეტანა. ბანკის თანამშრომლები ამას არ აკეთებდნენ და გააკეთეს მას შემდეგ, რაც ბატონმა ბუცხრიკიძემ მისცა დავალება, ხოლო ბატონ ბუცხრიკიძეს დავალება მიეცით თქვენ.

ნატო ჩხეიძის ამ განცხადებას კიდევ ერთხელ უპასუხა მამუკა ხაზარაძემ:

„განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მე ვიღაცას რამე დავავალე, არის ტყუილი. ამ ლონდონით ნუ გვაშინებთ!“

„ბატონო მამუკა, უკაცრავად, მაგრამ ღირსი ბრძანდებით იმ ამბისა, რა დღეშიც ახლა ხართ“, — მიუგო დამოუკიდებელმა დეპუტატმა ნატო ჩხეიძემ ხაზარაძეს.

მთავარია, ქვეყანამ გეოეკონომიკური როლი არ დაკარგოს!

ექსკლუზიური ინტერვიუ რონდელის ფონდის უფროს მეცნიერ-თანამშრომელთან, საქართველოს ყოფილ ელჩთან გაერთიანებულ სამეფოში გიორგი ბაღრიძესთან.

— 27 თებერვალს მუქარანარევი განცხადებები ერთმანეთის მიყოლებით ორი რუსი მაღალჩინოსნისგან — თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუსგან და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის გრიგორი კარასინისგან მოვისმინეთ. ორივე შემთხვევაში თბილისისადმი მთავარ პრეტენზიად, ტრადიციულად, ნატოსკენ სწრაფვა დასახელდა. თუმცა იმავე დღეს პრაღაში დაგეგმილი იყო გრიგორი კარასინის მორიგი შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენელთან რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძესთან, რომელზეც ამჯერად „ტვირთბრუნვის მონიტორინგისა და საბაჟო ადმინისტრირების ძირითადი მექანიზმების შესახებ“ რუსეთ-საქართველოს 2011 წლის შეთანხმების იმპლემენტაციაზეც უნდა ემსჯელათ. როგორ ფიქრობთ, შემთხვევით დაემთხვა ერთმანეთს დროში შოიგუსა და კარასინის განცხადებები, თუ ეს თბილისზე მორიგი ზეწოლის მცდელობა იყო?

— ტრადიციულად, ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის შეხვედრების წინ ვრცელდება ხოლმე კომენტარები, რაც მედიის მხრიდან ინტერესის გამოხატვას უკავშირდება.

დანამდვილებით ვერ ვიტყვით, ეხებოდა თუ არა რუსეთის თავდაცვის მინისტრის განცხადება ამ შეხვედრას. თუმცა ორივე განცხადება ნათლად აჩვენებს, რომ რუსეთი შეუძლებლად თვლის საქართველოს მიერ მასთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, სანამ ჩვენი ქვეყანა ევროატლანტიკურ დღის წესრიგზე არ იტყვის უარს.

— კარასინმა საქართველოსადმი პრეტენზიის გამოთქმისას ისიც აღნიშნა, რომ „საკმაოდ ხშირად იქ ნატოს მასშტაბური წვრთნები ტარდება და საქართველო ხელს უწყობს იმას, რომ მასში რეგიონის სხვა ქვეყნებმა, მაგალითად სომხეთმა მიიღოს მონაწილეობა“. რა კომენტარს გააკეთებდით ამ ფაქტთან დაკავშირებით?

— რუსეთი არ მალავს, რომ მისთვის მიუღებელია საქართველოს ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც მის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის პოზიციას გაამყარებს. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ზრდა და სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში მისთვის პრობლემას წარმოადგენს.

— საყურადღებო იყო, ალბათ, კარასინის კიდევ ორი განცხადება: 1) „ჩვენ ვცდილობთ, ვუბიძგოთ საქართველოს იმისკენ, რომ ჩვენს ურთიერთობებში არასასიამოვნო მოულოდნელობები არ იყოს“; 2) „პრაღის შეხვედრის მთელი ტონალობა ერთ სავაზნეში იყო იმასთან, რის შესახებაც ზურაბ აბაშიძემ ჩემთან შეხვედრამდე ბიძინა ივანიშვილთან ისაუბრა“. თავად ზურაბ აბაშიძე ირწმუნება, რომ ივანიშვილს პრაღის შეხვედრამდე ერთი დღით ადრე მის რეზიდენციაში სტუმრობისას „მხოლოდ ინფორმაცია მიაწოდა, როგორც მმართველი პარტიის ლიდერს“ და რომ „ივანიშვილისგან კარასინთან პრაღაში არანაირი გზავნილი არ წაუღია“. თუმცა ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, საქართველოს მმართველი პოლიტიკური ძალის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი რუსეთსა და აშშ-ს ურთიერთგამომრიცხავ დაპირებებს აძლევს, მოსკოვმა კი ამით გვითხრა, რომ „კარგად იცის, რაზე ვესაუბრებით ქართველები ამერიკელებს, შეგვახსენა, რომ მათთან სხვა შეთანხმება გვაქვს და თუ ჩვენ მას დავარღვევთ, მოსკოვის მხრიდან სიურპრიზები გველის“. მსგავსი მოსაზრება აქვს ოპოზიციასაც: „პრაღის ფორმატი ივანიშვილისთვის რუსეთთან ვაჭრობის პლატფორმაა იმ „წითელ ხაზებზე“, რომელიც თბილისმა დასავლეთთან ურთიერთობისას არ უნდა გადაკვეთოსო“. ზოგიერთები ამავე კონტექსტში განიხილავენ ანაკლიის პორტის საკითხს. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

— რაც შეეხება აბაშიძე-ივანიშვილის შეხვედრას, როცა ამ თემის კომენტირებისას პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა, „ზურაბ აბაშიძე ჩემი პირადი წარმომადგენელია რუსეთთან ურთიერთობაშიო“, ვეჭვობ, ბატონ აბაშიძეს ამაზე გულიანად გაეცინა... ძნელი შესამჩნევი არაა, რომ მაშინ, როცა „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში მამუკა ბახტაძე უკვე მეოთხე პრემიერ-მინისტრია და ამავე პერიოდში ხუთი საგარეო საქმეთა მინისტრი გამოიცვალა, ზურაბ აბაშიძე უცვლელად რჩება თავის თანამდებობაზე. დიდი ალბათობით, იგი მხოლოდ ბატონ ბიძინა ივანიშვილს თვლის თავის უფროსად. შესაბამისად, მათი შეხვედრებიც სრულიად ლოგიკურია და კიდევ ერთხელ ადასტურებს „არაფორმალური მმართველობის“ შესახებ უკვე ფართოდ დამკვიდრებულ აზრს.

თავად აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებათა ფორმატზე კი ადრეც არაერთხელ გამომითქვამს კრიტიკული აზრი. მისი მთავარი ნაკლოვანება იმაშია, რომ განსხვავებით ჟენევის ფორმატისგან, სადაც მოლაპარაკებები ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობითა და მხარდაჭერით ხორციელდება, პრაღაში ჩვენ მარტონი ვრჩებით რუსული მხარის პირისპირ, რაც ხიფათს შეიცავს, განურჩევლად იმისა, აკავშირებთ თუ არა აბაშიძესა და კარასინს ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობები.

მეორე საკითხი კი სწორედ ისაა, რომ ეს ფორმატი შესაძლოა, რუსეთის ხელისუფლებასთან ივანიშვილის კავშირის პირად არხს წარმოადგენდეს. ფაქტია, რომ რუსებიც და დასავლეთიც ხედავენ, რომ საქართველოს ხელისუფლება მათ სხვადასხვა გზავნილებს აწვდის და რომ ისინი ურთიერთგამომრიცხავია. ყოველ შემთხვევაში, რუსული მხარე ღიად გვეუბნება, რომ ჩვენი თანამშრომლობა და დაახლოება დასავლეთთან შეუთავსებელია რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებასთან.

— კარასინმა საქართველოს პირველ პირებს ნატოსკენ „დაჩქარებული“ სწრაფვა, ასევე განცხადებების „სიხისტე“ დაუწუნა და უკრაინული სცენარით დაგვემუქრა — „იქაც ასე იწყებოდა ყველაფერიო“. რამდენად რეალურად გეჩვენებათ მსგავსი პერსპექტივა და ხედავთ თუ არა სადღეისოდ ამის რაიმე წინაპირობებს?

— მუქარა სრულიად რეალურია, ხოლო ის, გადადგამს თუ არა რუსეთი ახალ აგრესიულ ნაბიჯებს საქართველოს მიმართ, გარკვეულწილად ჩვენს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. თუ არ მოხდა დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარება (რეალობაში საპირისპირო ხდება) და საერთაშორისო ფუნქციის ზრდა — მაგალითად უფრო დიდი როლის თამაში კასპიის და შავი ზღვის რეგიონების დაკავშირებაში (ანაკლიის პროექტის ჩაშლა, თუ ეს დაუშვეს, ამ მხრივ უმძიმეს შედეგებს გამოიღებს), მაშინ ჩვენს პარტნიორებს რუსეთისგან ჩვენი დაცვის სურვილი ნაკლებად ექნებათ: არადემოკრატიული და გეოეკონომიკური ფასეულობის არმქონე ქვეყანა დასავლეთისთვის ნაკლებად იქნება საინტერესო.

ვის ბოსტანში ისვრის კენჭებს (ქვებს!) რამაზ საყვარელიძე?!

შესაძლოა, ივანიშვილი სულ სხვა პოლიტიკურ კონტურებს ამზადებს, რომლებიც მომავალ არჩევნებზე მისთვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი შეიძლება იყოს“...

ფსიქოლოგი და პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ ივანიშვილმა პროცესები დაძრა იმ მიმართულებით, სადაც შეიძლება მომწიფდეს მისი გადასასვლელი ახალი პლატფორმა.

— „ქართულ ოცნებას“ ხშირად საყვედურობდნენ, რომ პოლიტიკურად მიძინებული იყო პროცესები, მაგრამ პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ ძალიან საინტერესოდ განვითარდა მოვლენები. მმართველმა გუნდმა დაკარგა საკონსტიტუციო უმრავლესობა, ე.წ. ძველი გვარდია გავიდა „ქართული ოცნებიდან“ და, როგორც ირკვევა, გასვლის პროცესი გაგრძელდება. ერთ-ერთი მიზეზი მოსამართლეთა სია გახდა, რომელთა უვადოდ დანიშვნას ლობირებს პარლამენტის თავმჯდომარე და ახალგაზრდული ფრთა. უმრავლესობიდან გასული დეპუტატები ხაზს უსვამენ კობახიძესთან დაპირისპირებას. როგორ ფიქრობთ, პოლიტიკურ პროცესს რა განვითარება ექნება?

— ცხოვრებაში ხშირად და პოლიტიკაში ყოველთვის წამგებიანია, იყო წამგებიანი. არავის არ უნდა წამგებიან ადამიანთან საქმის დაჭერა. ახალგაზრდების ეს ჯგუფი, როგორც განვლილმა პერიოდმა აჩვენა, წამგებიანი აღმოჩნდა. პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური, რომელსაც სწორედ ეს ახალგაზრდები ხელმძღვანელობდნენ, დაამთავრეს ისე, რომ ფაქტიურად წაგების პირას იყო სალომე ზურაბიშვილი. ივანიშვილმა ძველ გვარდიას მიმართა, წამოიწია ნაციონალების არჩდილმა და ამან განაპირობა მეორე ტურში გამარჯვება, რაც ამ ახალგაზრდების ჯგუფის გამარჯვება სულაც არ არის.

ავსტრიაში ვიზიტად მყოფმა ირაკლი კობახიძემ, რომელსაც შეკითხვები დაუსვეს რეფერენდუმზე, მოსამართლეებზე, განაცხადა, ხალხი არ არის მომზადებული იმისთვის, რომ გადაწყვეტილება მიიღოს, უსწავლელიაო. ამ განცხადებას აღშფოთება მოჰყვა, ადამიანმა, რომელმაც არ იცის, სად რა თქვას, რატომ არის პარლამენტის თავმჯდომარეო. იყო ერთი რეპლიკაც — „ბიჭიკო, შენებმა იციან, ამ სიშორეს რომ წამოხვედიო“. ანუ, ერთი მხრივ, არ ტოვებენ სერიოზულ შთაბეჭდილებას და, მეორე მხრივ, უშვებენ შეცდომებს. ასეთი პოზიციით არა თუ ამომრჩეველი, არამედ ყველაზე აწყობილი და დიდი პარტია მიიყვანეს დაშლამდე.

— ფიქრობთ, რომ 2020 წლის არჩევნებისთვის ეს ახალგაზრდული ფრთა წამგებიანი იქნება?

— რა თქმა უნდა, წამგებიანი იქნება. ერთ-ერთი მიზეზიც ამ გადინებისა, ესეც არის. მეორე მიზეზი, ალბათ, ისიც არის, რომ ამ ახალგაზრდების ფრთაში ეს ძველი გვარდია არ აღმოჩნდება და მათ ურჩევნიათ დამოუკიდებლად შექმნან დამოუკიდებელი პარტია.

— პარლამენტში შესაძლოა, ირაკლი კობახიძის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს. უმრავლესობიდან გასული დეპუტატები იწყებენ ხელმოწერების შეგროვებას და, სავარაუდოა, რომ მიიღებენ უმცირესობის მხარდაჭერას. უშვებთ, რომ დადგება პარლამენტის თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხი?

— შედეგი არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, თვითონ პრეცედენტი არის მნიშვნელოვანი. თუ საკითხი ასე დადგა, ეს ძალიან მძიმე პრეცედენტი იქნება, იმიტომ, რომ საქართველოს ახალ ისტორიაში იმპიჩმენტის საკითხი არ დამდგარა. ამავე რანგის მოვლენა არ იყო, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტის ნიქსონის იმპიჩმენტის საკითხი რომ დადგა, ნიქსონი გადადგა, იმპიჩმენტამდე საკითხი არ მიიყვანა, რადგან იმდენად მძიმე დაღია იმპიჩმენტი.

ვვარაუდობ, თუკი იმპიჩმენტის საკითხმა წამოიწია, შეიძლება, კობახიძემ თვითონ გადაწყვიტოს სხვა გზის არჩევა, რადგან, რა თქმა უნდა, არსებობს იმპიჩმენტის შესაძლებლობა. კობახიძე არის ახალგაზრდა და ახასიათებს ახალგაზრდული თავშეუკავებლობა და აგრესიულობა, რაც ჩანს მის საქციელში. შეცდომა იყო გამოუცდელი ადამიანის ასეთ რთულ ადგილას დანიშვნა, ხოლო ჩემი მხრიდან ეს განცხადება ივანიშვილის ბოსტანში ნასროლი ქვაა.

— პარლამენტი არ არის ერთადერთი ადგილი, სადაც დაპირისპირება მწვავდება. ივანიშვილს მხარდამჭერები აკრიტიკებენ პარლამენტს გარეთაც და ასეთია დათო მაღრაძე, რომელმაც მიმართა ივანიშვილს — „სანამ უფრო გამძაფრდება პროცესი, შეგიძლიათ წახვიდეთ პოლიტიკიდან, სანამ კარისკენ მიგითითებენ“. ივანიშვილი კარგავს ავტორიტეტს და რა არის ამის მიზეზი, ისევ ახალგაზრების საპარლამენტო ფრთა, რომელიც მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანს ლობირებს?

— კი და გეთანხმებით, რომ მურუსიძის თემამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. თუმცა, ამ ახალგაზრდების მიმართ სიმპათიები მოსამართლეების თემის გარეშეც არ იყო მაღალი. რაც შეეხება მაღრაძეს, ძველი გვარდიის ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურას და მათ, ვინც ანალოგიურად ფიქრობს, ერთ ასეთ ვერსიას შევთავაზებდი, თუ ამ ახალგაზრდების გაცხადებული ფრაზა არ მოსწონთ, თავის მხრიდანაც არ აღმოჩნდნენ განცხადების და ემოციების მსხვერპლი.

მოვლენების განვითარებას თუ დავუკვირდებით, პოლიტიკაში მეორედ დაბრუნებულმა ივანიშვილმა განაცხადა, ცვლილებები იქნებაო. პარლამენტის მიმართულებით აქცენტირება არ გაუკეთებია, მაგრამ ფაქტია, რომ ორივე მიმართულებით აპირებდა ცვლილებას. დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი, რატომც მოვიდა ივანიშვილი, სწორედ პარლამენტში იყო იმ დროს, სწორედ ამ ახალგაზრდებსა და ძველ თაობას შორის.

— მთავრობის შეცვლა ადვილია. კარგი ცვლილება მოხდა თუ არა, ფაქტია, რომ მთავრობა შეცვალა. რომ მოინდომოს, ორ კვირაში შეუძლია მთავრობა შეცვალოს. საპარლამენტო რესპუბლიკაც ეგ არის, მაგრამ როგორ შეიძლება შეიცვალოს საპარლამენტო შემადგენლობა? — ხელახალი არჩევნების გარდა ცვლილება შეუძლებელია.

როგორ ფიქრობთ, პროცესები მიდის ვადამდელ არჩევნებამდე? ამ გუნდით ივანიშვილისთვის, ალბათ, საკმაოდ რთული იქნება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მოგება...

— არის კიდევ ერთი ასეთი ლოგიკა. ამ გუნდს ხელახლა ვერ ასწავლის, გუნდი რაც არის, ეგ არის. მაგრამ არის მეორე — გაჩნდეს სხვა გუნდი და არჩევნების მოახლოებასთან ერთად რომლის მხარეს გადასწონის ივანიშვილის სასწორი.

— რა გუნდი შეიძლება იყოს მესამე ძალა, რომლის მოლოდინიც არსებობს პოლიტიკურ ველზე?

— ერთი მხრივ, ამგვარი მანევრი ივანიშვილს გაანთავისუფლებს ამ ურეიტინგო ახალგაზრდებისგან, მეორე მხრივ, ძველი გვარდიისთვის მიცემულ პირობას შეასრულებინებს და მესამე მხრივ, სავარაუდოა, რომ ივანიშვილი ამ ტიპის მანევრით მიიღებს უფრო მოგებისუნარიან გუნდს, რომელმაც სწორედ პრეზიდენტის მეორე ტურში განაპირობა ზურაბიშვილის მოგება. სამივე ვარიანტი შეიძლება გადის სწორედ იმ უკმაყოფილებაზე, რომელიც მოსამართლეთა სიის საჯაროდ გამოტანით გააჩინა ივანიშვილმა.

— ფიქრობთ, რომ ივანიშვილმა პროცესები დაძრა ისე, რომ თვითონ გაჩერებულია?

— რა თქმა უნდა, მაგრამ პროცესები დაძრა იმ მიმართულებით, სადაც შეიძლება მომწიფდეს მისი გადასასვლელი ახალი პლატფორმა. ეს არ არის მარტო ბესელია და თანამზრახველთა ჯგუფი. მით უმეტეს, რომ გადასულებში მძაფრი პროტესტის სტილით ბევრი არ გამოირჩეოდა, არც კვაჭანტირაძე, არც ნაცვლიშვილი. ასე რომ, რაღაც პროცესი შეიძლება მიდის. ამავე დროს, ამ გუნდს, რომელიც შეიძლება საკმარისი არ არის არჩევნების მოსაგებად, არჩევნებში შეიძლება მნიშვნელოვნად დაეხმაროს „პატრიოტთა ალიანსი“, რომლის პოლიტიკური პლატფორმა ბევრი პუნქტით თანხვედრაშია ბესელიას ჯგუფთან, მათ შორის — კრიტიკული დამოკიდებულება სააკაშვილისა და „ნაციონალების“ მიმართ, ქმედითი მუშაობა „ქართული ოცნების“ მიმართ. ამას ითხოვს ბესელიას ჯგუფი და „პატრიოტთა ალიანსი“, რომელსაც ფართო მოსახლეობაში ბევრი მომხრე ჰყავს. ასე რომ, არ არის გამორიცხული, იმ პროცესით, რაც მიმდინარეობს, ივანიშვილი სულ სხვა პოლიტიკურ კონტურებს ამზადებს, რომელიც მომავალ არჩევნებზე მისთვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი შეიძლება იყოს.

— ანუ ივანიშვილისგან მოულოდნელ სვლებს უნდა ველოდოთ, მაგრამ რამდენად აქვს ამის რესურსი, რომ სწორი პოლიტიკური სვლა წარმატებით განახორციელოს?

— რესურსი არის. ბევრი რამე დამოკიდებულია დროზე, შეარჩევს თუ არა ივანიშვილი ზუსტად იმ დროს, როდესაც გადადგმული ნაბიჯი მას პლუსად დაეწერება. ჯერჯერობით, რაც ხდება და მაღრაძის სიტყვები ამის ლუსტრაცია იყო, პირადად ივანიშვილს ეწერება მინუსებში. დრო უნდა იმას, რომ ეს მინუსები ჩამოიცილოს. თუ დააგვიანდა, შეიძლება ვერც ჩამოიცილოს და მოსახლეობისთვის ივანიშვილი მაინც მიუღებელი დარჩეს. ზუსტი დროა შესარჩევი, როცა ამ მანევრებს ხალხი ივანიშვილს მიაწერს და მის დამსახურებად ჩათვლის. შესაბამისად, დაუბრუნდება მისადმი ნდობა.

— „თიბისი ბანკის“ გარშემო პროცესები პოლიტიკას არ უკავშირდება?

— არ ვუკავშირებ პოლიტიკას, რას შეიძლება დავუკავშირო, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ რატომ გულისხმობს მაინცდამაინც ივანიშვილის პოლიტიკურ მოტივს, რომელიც ხელისუფლებაში 2012 წელს მოვიდა, ეს ვერ გავიგე. თუ ყველა კითხვაზე პასუხი უნდა იყოს ის, რომ ხელისუფლების ბრალია, მაშინაც ხელისუფლების ბრალი იქნებოდა. რატომ არ დაიწყო 2012 წელს? როცა რაღაცა გაუგებარია, ის ცარიელი სივრცე მითებით ივსება ხოლმე. მე მგონია, რომ ჯერჯერობით მითოლოგიზაციის ეტაპი გვაქვს „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებით და რეალურად რა ხდება, არ ვიცით.

— ანუ გამორიცხავთ, მესამე პოლიტიკური ძალა ხაზარაძის სახით შემოვიდეს პოლიტიკურ ველზე?

— გამოვრიცხავ. ბევრი ფული არ ნიშნავს იმას, რომ მაინცდამაინც პოლიტიკაში უნდა დურთო თავი, სადაც ამ ფულს დახარჯავ და კიდევ მტრებს გაიმრავლებ. რაში სჭირდება ხაზარაძეს, წარმატებულ ბიზნესმენს, რომელმაც იმპერია შექმნა, რომელსაც შეუძლია კიდევ ახალი იმპერია შექმნას ანაკლიის პორტის სახით, პოლიტიკურ დაპირისპირებაში ჩართვა? პოლიტიკაში რომ შემოვიდეს, ხომ ვიღაცას უნდა დაუპირისპირდეს, ან პირდაპირ მმართველი პარტია გახდეს?! ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ თუ პოლიტიკური განაცხადი გააკეთა, მის მიმართ კომპრომატების უფრო დიდი ცვენა არ წავა, ვიდრე ახლა. ხაზარაძე, ალბათ, არ შეეცდება პოლიტიკაში შემოსვლას, მით უმეტეს მას ძლიერი ბიზნესმენის სახელი დიდი ხანია აქვს, საკაშვილმაც არაერთხელ შეაწუხა და ამ რეჟიმის შეცვლის დროსაც შეეძლო პოლიტიკაში შემოსვლა, მაგრამ არ გადადგა ეს ნაბიჯი. მეეჭვება, ახლა „ოცნების“ პერიოდში გადადგას ნაბიჯი, რადგანაც ოპონენტებს უფრო გაიმრავლებს, ვიდრე მომხრეებს.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ანაკლიას პნომპენის სპეციალური ეკონომიკური ზონის წარმომადგენლები ეწვივნენ

4 მარტს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მოწვევით საქართველოში პნომპენის სპეციალური ეკონომიკური ზონის **PLC**-ის აღმასრულებელი დირექტორი ჰიროში იემაცუ და წამყვანი იაპონური კომპანიის Nippon Koei-ის წარმომადგენელი ტედი მასანორი ჩამოვიდნენ. ისინი „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ დამფუძნებელს მამუკა ხაზარაძესა და „ანაკლია სითის“ აღმასრულებელ დირექტორს ქეთი ბოჭორიშვილს შეხვდნენ. ჰიროში იემაცუ და ტედი მასანორი ანაკლიას ეწვევიან, პორტისა და სპეციალური ეკონომიკური ზონის ტერიტორიას მოინახულებენ და სამომავლო თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრებენ. როგორც ცნობილია, გასულ კვირას ანაკლიის პორტის დამფუძნებლები კამბოჯაში პნომპენის სპეციალურ ეკონომიკურ ზონას ეწვივნენ და მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართეს.

იაპონური კომპანიების წარმომადგენლების საქართველოში საპასუხო ვიზიტის მიზანი ანაკლიის პორტის პროექტთან თანამშრომლობა და ანაკლიაში იაპონური კომპანიების მოზიდვაა. PLC- ი პნომპენის სპეციალური ეკონომიკური ზონის ფლაგმანია, რომლის ოპერირებაც 2008 წელს დაიწყო და მასში წამყვანი კამბოჯური და იაპონური ორგანიზაციები არიან გაერთიანებულნი. 400 ჰექტარზე განთავსებული ეკონომიკური ზონა დღეისთვის აშშ -ის, იაპონიის , სინგაპურის, ტაილანდის, ავსტრალიის, კორეისა და სხვა 14 ქვეყნის 95 კომპანია მუშაობს. ზონის განვითარებაში 600 მილიონის ინვესტიციაა ჩადებული და 19 000-ზე მეტი ადგილობრივია დასაქმებული. ზონის კლიენტებს შორისაა ისეთი კომპანიები, როგორებიცაა Coca Cola, Denso, Toyota, Nippon Express,, Yusen Logistics, Meikodo, American Licorice, Yamaha Motors, Ajinomoto და სხვა.

2016 წლიდან PLC დარეგისტრირებულია კამბოჯის ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე (CSX), მის მენეჯმენტში იაპონური კომპანიაა ჩართული, ხოლო აქციონერები ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორები არიან. ამჟამად, PLC-ის ამბიციურ გეგმებში არსებული ზონების გაფართოება, ახალი პროექტების განხორციელება და სხვა საერთაშორისო ბიზნესთან ინტეგრირება შედის.

საქართველო-სომხეთი-რუსეთი-ირანი:

თბილისი თეირანიდან სომხეთის გავლით გაზის იმპორტის შესახებ მოლაპარაკებებში ერთვება

საქართველოს, სომხეთის, რუსეთისა და ირანის წარმომადგენლების შეხვედრა, რომელზეც გაზის სფეროში თანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ, აპრილში თეირანში გაიმართება. ამის შესახებ სომხეთის პრემიერ-მინისტრის პრეს-სპიკერმა ვლადიმირ კარაპეტიანმა განაცხადა.

სომხურმა მხარემ ირანისგან მიიღო თანხმობა გაზისა და ელექტროენერგიის ტრანზიტის სფეროში როგორც სამმხრივი (გაზის შემთხვევაში, საქართველოს მონაწილეობით), ისე ოთხმხრივი (ელექტროენერგიის შემთხვევაში, საქართველოსა და რუსეთის მონაწილეობით) თანამშრომლობის ჩამოყალიბებაზე.

კარაპეტიანის თქმით, აპრილის შეხვედრა სწორედ ამ საკითხს მიეძღვნება.

27 თებერვალს სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ პაშინიანი თეირანში ირანის პრეზიდენტ ჰასან როუჰანის შეხვდა. მოლაპარაკებების მსვლელობისას მასპინძელმა მზადყოფნა გამოთქვა, სომხეთისთვის გაზის მიწოდების მოცულობა გაზარდოს და ამავდროულად სომხეთის ტერიტორიის გავლით საქართველოში გაზის ექსპორტი დაიწყოს.

ტრანზიტის საკითხში მზაობა გამოხატა პაშინიანმაც:

„სომხეთი მზადაა, ირანთან ტრანზიტის საკითხში ითანამშრომლოს და ირანული გაზისთვის სატრანზიტო ქვეყნად იქცეს. ენერგეტიკული დერეფნის შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ორმხრივ და რეგიონულ, ისე უფრო ფართო კონტექსტშიც. ამ საკითხების გადასაწყვეტად პოლიტიკური ნება უკვე სახეზეა და ვიმედოვნებთ, რომ მოლაპარაკებათა პროცესი წარმატებით დასრულდება“.

სომეხი ექსპერტი, ირანისტი გოარ ისკანდარიანი ვარაუდობს, რომ სომხეთის გავლით ირანიდან საქართველოში გაზის ტრანზიტის საკითხი თბილისთან და მოსკოვთან უკვე განხილულია.

„პრეზიდენტების და პრემიერების დონეზე სიტყვებს ჰაერზე არ ისვრიან. ამდენად, ვფიქრობ, საქართველოსთან წინასწარი საუბრები უკვე იყო. საჭიროა, რუსეთმა გაზის დამატებითი მიწოდებები დაუშვას. შესაბამისად, ვვარაუდობ, რომ საკითხი უკვე მოსკოვშიც განიხილეს და ამან პაშინიანსა და როუჰანის 27 თებერვალს იმ განცხადებების გაკეთების საფუძველი მისცა, რომელიც ყველამ მოვისმინეთ. ახლა სომხური დიპლომატიური კორპუსის წინაშე დგას ამოცანა, ირანულ, ქართულ და რუსულ მხარეებთან ჩაატაროს სამუშაო ამ პროექტის რეალიზებისა და თანამშრომლობის აქტივირებისთვის. ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სომხეთი რეგიონულ პროცესებში სრულად ინტეგრირდეს“.

როგორც „აქცენტთან“ საუბარში საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხთა სპეციალისტი გიორგი გობრონიძე განმარტავს, სადღეისოდ სომხეთის ტერიტორიაზე არსებული მილსადენები რუსული „გაზპრომის“ საკუთრებაა, შესაბამისად, ეს ფასზეც იმოქმედებს, თუმცა თავად იდეა ანალიტიკოსისთვის საინტერესოა:

გიორგი გობრონიძე: სომხეთ-ირან-საქართველოს სატრანზიტო ღერძი უკვე დიდი ხანია, განიხილება. ეს საინტერესო შესაძლებლობაა ჩვენი ქვეყნისთვის და შეიძლება, ითქვას, მნიშვნელოვანიც. უბრალოდ ერთი პრობლემაა და ეს პრობლემა ისევ და ისევ რუსეთია, რომელმაც ერთი ასეთი ენერგოპროექტი უკვე ჩაუგდო სომხეთს. ეს ბევრად უფრო საინტერესოა საქართველოსთვის, ვიდრე რუსული გაზი, მაგრამ სომხეთის გავლით საქართველოში ირანული გაზის შემოსვლა ნიშნავს იმას, რომ გაზი რუსულ მილებში გაივლის: სომხეთში ხომ მილსადენი ინფრასტრუქტურა მთლიანად „გაზპრომის“ საკუთრებაშია. ამდენად, ეს, სულ მცირე, იმოქმედებს გაზის ფასზე და ეს ტრანზიტი გარკვეულწილად, მაინც რუსეთზე იქნება დამოკიდებული.

რომ შევაჯამოთ, ეს პროექტი უფრო სასურველი შესაძლებლობაა, ვიდრე უშუალოდ „გაზპრომისგან“ რუსული გაზის შესყიდვა, თუმცა საქართველო ყველა ვარიანტში უნდა იყოს დაინტერესებული არა მხოლოდ ირანიდან გაზის შესყიდვით, არამედ ბათუმი-ანდერაბასის, ინდოეთის ოკეანესა და შავი ზღვის შემაკავშირებელი სატრანზიტო დერეფნის ამოქმედება-გაძლიერებით, სადაც სომხეთის სატრანზიტო როლიც გამოიკვეთება. ეს გააღრმავებს ქართულ-სომხურ პარტნიორობასაც, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ-აზერბაიჯანული პარტნიორობა ისედაც არსებობს, საქართველოს წონა და როლი მნიშვნელოვნად გაიზრდება. თუკი ქართველები და აზერბაიჯანელები „განწირულები ვართ“ პარტნიორობისთვის, ანალოგიური მდგომარეობა არ გვაწყენს სომხეთთანაც, რადგან მეზობელ ქვეყნებთან გრძელვადიანი სტაბილურობისთვის ძალიან კარგი ურთიერთობა გვესაჭიროება.

ატლანტიკური საბჭოს გლობალური ენერგიის ცენტრის ექსპერტი ბად ქუთი კი ამ პროექტის მიმართ უფრო სკეპტიკურადაა განწყობილი.

„საკითხავია, სურს და შეუძლია თუ არა ირანს, ექსპორტზე მეტი გაზი გაიტანოს: თეირანისთვის გაზის ექსპორტზე გატანა მთავარი პრიორიტეტი არ არის, მისთვის მეტად პრიორიტეტულია გაზის გაზრდილი შიდა მოხმარების უზრუნველყოფა, გაზის მიწოდება ირანული ნავთობქიმიური მრეწველობის ხელშესაწყობად და ნავთობსაბადოებისთვის, რათა გაზარდოს ნავთობპროდუქტების წარმოება. ამავე დროს, ნაკლებ სავარაუდოა, რუსეთმა, რომელსაც ძლიერი გავლენა აქვს სომხეთზე, ერევანს ნება დართოს, ირანული გაზი ხელახალ ექსპორტზე გაიტანოს საქართველოში: ფაქტია, რომ როცა საქმე ეხებოდა ირანული გაზის სომხეთში ექსპორტს, რუსეთი ირწმუნებოდა, რომ მილსადენის დიამეტრი შეზღუდული იყო და რომ სომხეთს არ ჰქონდა საკმარისი უნარი, ირანიდან მიწოდებული გაზი ხელახალ ექსპორტზე გაეშვა“.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც ექსპერტმა „აქცენტს“ განუცხადა, ირანიდან გაზის ექსპორტი თბილისისთვის შესაძლოა, გარკვეულწილად საარგებლო იყოს, თუმცა არსებული რუსული პოლიტიკის პირობებში უმჯობესია, ირანიდან გაზის იმპორტი აზერბაიჯანის და არა სომხეთის გავლით განახორციელოს, რომელზეც რუსული გავლენა კვლავინდებურად ძლიერია.

გარდა ამისა, როგორც ბად ქუთმა აღნიშნა, აზერბაიჯანის სამხრეთში შესანიშნავი ინფრასტრუქტურაა, რაც ირანული გაზის საქართველოში ექსპორტს შეუწყობს ხელს.

„აქცენტი“

იანვარში ტურისტებმა 164.5 მლნ დოლარი შეგვძინეს!

წინასწარი მონაცემებით, 2019 წლის იანვარში შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 164.5 მილიონ დოლარს (ზრდა +5%), რაც 8 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

წინასწარი მონაცემებით 2018 წელს შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 3.2 მილიარდ დოლარს (ზრდა +18.4%), რაც 498 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

2018 წლის I-III კვარტლის მდგომარეობით შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოში შეადგენს 2.6 მილიარდ დოლარს (ზრდა +20.5%), რაც 437 მილიონით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2018 წლის I-III კვარტლის მონაცემებით შეადგენს 7.6%-ს. ზრდა წინა წელთან შედარებით +19%-ია.

2025 წელს შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 46,6 მილიარდს მიაღწევს

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2025 წლისთვის საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლების 46,6 მლრდ-მდე ზრდას ვარაუდობს.

ტურიზმის სტრატეგიის დოკუმენტის თანახმად, საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა 11 მლნ-ს მიაღწევს, წილი კი მშპ-ში თითქმის 8%-ით განისაზღვრება.

საერთაშორისო ტურისტები საქართველოში დანახარჯებს ზრდიან. 2015 წელთან შედარებით დანახარჯები 1,2-ჯერ არის გაზრდილი.

ვიზიტორების საშუალო დანახარჯმა 2015 წელს 300 დოლარი შეადგინა, 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი 370 დოლარამდეა გაზრდილი. ქვეყანაში გაჩერების ხანგრძლივობა 2015 წელს 5 დღეს შეადგენდა, ახლა კი ეს მაჩვენებელი ნახევარი დღით არის გაზრდილი.

სტრატეგიის მიხედვით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2025 წლისთვის ვიზიტორების საშუალო დანახარჯის 600 დოლარამდე ზრდას ვარაუდობს, 7 დღემდე გაიზრდება გაჩერების საშუალო ხანგრძლივობა.

ფრანგული სამარშრუტო სქემა თბილისისთვის

ფრანგული კომპანია „სისტრა“ თბილისის მერიას 2 თვეში წარუდგენს ავტობუსების ახალ სამარშრუტო სქემას, რომლის ეტაპობრივ განხორციელებას დაახლოებით 1 წელი დასჭირდება.

„სისტრამ“ ახალი სამარშრუტო სქემის კვლევა თბილისის მერიისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ერთობლივი დაფინანსებით გასული წლის გაზაფხულზე დაიწყო. დღეისათვის უკვე შესწავლილია თბილისის თითოეული უბნიდან მგზავრთა გადაადგილების ძირითადი მიმართულებები. ამჟამად, მასზე დაყრდნობით, არსებული მარშრუტების დახვეწასა და ახალი მარშრუტების განსაზღვრაზე მიმდინარეობს მუშაობა.

გეგმის თანახმად, ახალი სამარშრუტო სქემა იმგვარად ჩამოყალიბდება, რომ ავტობუსებმა, მიკროავტობუსებმა და მეტროპოლიტენმა ერთმანეთთან სინქრონიზებულად იმუშაონ. ეს ერთი ტრანსპორტიდან მეორეზე მგზავრის შეუფერხებელ და კომფორტულ გადაჯდომას უზრუნველყოფს და დანიშნულების ადგილამდე გადაადგილების დროს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

ამავდროულად, მგზავრთა ნაკადიდან გამომდინარე, თითოეული მარშრუტისთვის განისაზღვრება დასანიშნი ავტობუსების ტიპი, რაოდენობა და მოძრაობის გრაფიკი. ამჟამად მუშავდება თბილისის გარეუბნებიდან ცენტრის მიმართულებით, დაახლოებით 10 სატრანსპორტო დერეფნის მოწყობის პროექტი, სადაც 24-მეტრიანი ავტობუსების დანიშვნა იქნება შესაძლებელი. ასევე, მგზავრთა გადაადგილების რაოდენობისა და ქუჩების პარამეტრების მიხედვით განისაზღვრება მარშრუტები, რომლებზეც 18, 12, 10 და 8-მეტრიანი ავტობუსები გადანაწილდება. „სისტრას“ მიერ დამუშავებული სამარშრუტო სქემა ეტაპობრივად, დედაქალაქში ახალი ავტობუსების შემოსვლის პარალელურად ამოქმედდება.

ავთანდილ დემეტრაშვილი: პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მაჟორიტარული სისტემა ხელისუფლების სასარგებლოდ მუშაობს

წლების განმავლობაში რადიკალურად დაპირისპირებული ლიდერები ერთ მაგიდასთან აღმოჩნდნენ და ერთიანი ფრონტით ხელისუფლების შეცვლის მიზანი დაისახეს. „ყველა მინუს „ქართული ოცნება“, — ასეთია 20 ოპოზიციური პარტიის ლოზუნგი. საზოგადოების თვალში, ალბათ, არ იყო ეფექტური, როცა დავით უსუფაშვილი, ნინო ბურჯანაძე, კახა კუკავა და სხვა ოპოზიციონერები გრიგოლ ვაშაძესთან ერთად ერთ მაგიდასთან დამსხდარი იხილა, მაგრამ ოპონენტების მტკიცებით, მიზანია დიადი, მათ მილიონი ხელმოწერის შეგროვება სურთ, რათა „ოცნებას“ კონსტიტუციის შეცვლა და 2020 წლის არჩევნებისთვის პროპორციულ სისტემაზე გადასვლა აიძულონ.

„ოცნების“ წინააღმდეგ დარაზმულები ფიქრობენ, რომ ამ ხელმოწერების შეგროვების შემდეგ ყოველი მეოთხე მოქალაქის წინააღმდეგ წასვლა ხელისუფლებას გაუჭირდება. რჩება სხვა ალტერნატივაც — ან პროპორციულ სისტემაზე გადასვლა, ან ხალხის პროტესტი. მიიღებს თუ არა ივანიშვილი ქუჩას, ეს მის შემდგომ ნაბიჯებზეა დამოკიდებული.

რას მიაღწევენ „ოცნების“ ახლანდელი ოპონენტები, ამის შესახებ დღეს კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი გვესაუბრება.

— 20 პარტიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ მესამე ვადის შენარჩუნებით ვენესუელის კრიზისი გარდაუვალი იქნება საქართველოში. მათი აზრით, პროპორციულ სისტემაზე გადასვლა სტაბილურობის საწინდარია. მათგან განსხვავებით, უმრავლესობაში ირწმუნებიან, რომ შეუძლებელია, 2020-ის არჩევნები პროპორციული სიით ჩატარდეს. რა რესურსები აქვთ ოპონენტებს და მიაღწევენ თუ არა კონსტიტუციის გადასინჯვის მიზანს?

— ეს არის გაერთიანებული ოპოზიციის 20 პარტიის მცდელობა, რომ როგორმე შეცვალონ სისტემა. თუმცა აქ გასარკვევია, კონკრეტულად რას აპირებენ ისინი. როგორც ვიცი, ეს ადამიანები 200 ათასზე მეტი ხელმოწერის შეგროვებას გეგმავენ, რათა ცვლილება შევიდეს კონსტიტუციაში და 2020 წელს არჩევნები მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარდეს. ამის თაობაზე მათთან გარკვეული კონტაქტი მქონდა და ვთვლი, რომ, ალბათ, გაჭირდება კონსტიტუციის გადასინჯვა, თუკი ისინი მოითხოვენ კონსტიტუციის გადასინჯვას და არა რეფერენდუმის დანიშვნას. საქმე იმაშია, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, კონსტიტუციის გადასინჯვა შეიძლება ორი სხვადასხვა კვორუმით. თუ თავიდან კონსტიტუციას მხარი დაუჭირა 2/3-მა, ან ცოტა მეტმა, მაგრამ არა 3/4-მა, მაშინ ძალაში არ შედის ეს ცვლილება და შევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ახლადარჩეული შემდეგი მოწვევის პარლამენტი მას დაამტკიცებს, ანუ მე არ გამოვრიცხავ ვარიანტს, შეგროვდეს 500-600 ათასი ხელმოწერა და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა განაცხადონ, რომ კი, ჩვენ ვიზიარებთ ხალხის ამ სურვილს და 2/3-ით მიიღონ ეს ცვლილება, ანუ 2020 წლის არჩევნები კვლავ ჩატარდეს პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით. იმ შემთხვევაში, თუ 3/4 მიიღებს ასეთ ცვლილებას, მაშინ უკვე 2020 წელსვე ამოქმედდება პროპორციული სისტემა. მე ვთვლი, რომ 3/4, ჯერ ერთი, თავად „ოცნებას“ უკვე აღარ გააჩნია, ამიტომ ცოტა რთული იქნება ამ პროცესის ბოლომდე მიყვანა.

— რეფერენდუმით გაცილებით იოლია ამ გადაწყვეტილების მიღება?

— დიახ, რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა საკანონმდებლო-აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის. ამიტომ პარლამენტი 3/4-ით ვალდებული იქნება, ცვლილება შეიტანოს კონსტიტუციაში, რაც რეფერენდუმითაა შესაძლებელი. თუკი ასეთი პოლიტიკური ნება ხალხის მიერ იქნება გამოთქმული, კი ბატონო, მაშინ პარლამენტი იძულებული იქნება, ეს გააკეთოს. თუ პარლამენტი ამას არ გააკეთებს, მაშინ ეს იქნება ანტიკონსტიტუციური ქმედება და შეიძლება მისი გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში.

— ფიქრობთ, რომ ამ 20 ოპოზიციური პარტიის შემდგომი ნაბიჯი რეფერენდუმზე ამ საკითხის გატანა იქნება?

— არ ვიცი, მათი მომავალი ნაბიჯი რა იქნება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ისინი ამბობდნენ, რომ ცვლილება უნდა შევიდეს კონსტიტუციაში. ამ 20 პარტიის შიგნით რა ხდება, ვერ გეტყვით. თუკი ნამდვილად პოლიტიკური სურვილი გააჩნიათ, რომ 2020-ში ჩატარდეს მხოლოდ პროპორციული სისტემით არჩევნები, უმჯობესი იქნება, რეფერენდუმს მიმართონ.

— ცოტა რთული დასანახი იყო ამომრჩევლისთვის, როდესაც გრიგოლ ვაშაძესთან ერთად ისხდნენ ბურჯანაძე, კუკავა, უსუფაშვილი და სხვები, რომლებიც თავის დროზე ებრძოდნენ „ნაციონალებს“. რამდენად დასწევს ამ ადამიანების წონას ის ფაქტი, რომ ერთ დროს ოპონენტები დღეს „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ „ნაციონალებთან“ დაზავდნენ?

— თქვენ უკვე უპასუხეთ თქვენს კითხვას, ვინაიდან გაერთიანებული ოპოზიციის ლოზუნგი „ყველა მინუს ერთი“, ეს არის პრაგმატულად შეკრებილთა ერთობა. სიტყვა „პრაგმატი“ საქმეს ნიშნავს. ამდენად, თუ უნდათ, საქმით შეცვალონ არსებული რეჟიმი, ყველა უნდა გაერთიანდეს. რესურსი მხოლოდ გაერთიანებულ ოპოზიციას გააჩნია, ანუ ეს უნდა იყოს ხელმოწერების დიდი რაოდენობა, ან რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს, ან კონსტიტუციის გადახედვის მოთხოვნა უნდა წამოაყენონ. ეს არის დროებითი ალიანსი, რათა არსებული რეჟიმი შეიცვალოს და 2020 წელს არჩევნები ჩატარდეს პროპორციული სისტემით. აქ მოულოდნელი არაფერია.

— „ოცნების“ წარმომადგენლები ოპონენტებს ბონუსის გარეშე პროპორციულ სისტემაზე გადასვლას 2024 წლისთვის სთავაზობდნენ, მაგრამ ოთხი წლით ადრე, ანუ 2020 წლისთვის რამდენად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება პროპორციულ სისტემაზე გადასვლა შემდგომში ძალების ბალანსის თვალსაზრისით?

— თუკი ჩვენ გვსურს პოლიტიკური პლურალიზმის გამყარება სახელმწიფო ინსტიტუტებში, მაშინ პროპორციული სისტემა იმ დათქმით, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს 3%-იანი საარჩევნო ბარიერით, რაც კონსტიტუციაშიცაა უკვე დაფიქსირებული, წინგადადგმული ნაბიჯია. თუ დღევანდელ კონფიგურაციას და დღევანდელ მონაცემებს ავიღებთ, 3%-იანი საარჩევნო ბარიერით პარლამენტში სულ ცოტა 5-6 პარტია მაინც შევა. კოალიციური მთავრობის დამყარებისთვის მხოლოდ და მხოლოდ ეს გზა არის შესაძლებელი.

— როგორ ფიქრობთ, მაჟორიტარული სისტემა მთლიანად უარსაყოფია, რადგან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არ ამართლებს?

— თავისთავად, მაჟორიტარული სისტემა არ არის ცუდი. მაჟორიტარული სისტემით აირჩევა შეერთებული შტატების კონგრესის ორივე პალატა, დიდ ბრიტანეთში თემთა პალატა, ასევე, გერმანიაში, საფრანგეთში მაჟორიტარულ სისტემას იყენებენ. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში კი მაჟორიტარული სისტემა მუშაობს ხელისუფლებაზე. ხელისუფლებას გააჩნია დიდი ადმინისტრაციული რესურსი ადგილებზე. მაჟორიტარულ ოლქებში ხელისუფლებას ყოველთვის უადვილდება მისთვის სასურველი კანდიდატის გაყვანა. გარდა ამისა, ჩვენთან არ დამკვიდრდა მაჟორიტარული სისტემის პოზიტიური შედეგები, ანუ ჩვენი მაჟორიტარებიდან ზოგიერთი თავის საარჩევნო ოლქში არც კი არის ნამყოფი, თავის ამომრჩეველს არ ხვდება, მათ ინტერესებს არ იცავს. ამიტომ მაჟორიტარები არაპოპულარული არიან საქართველოში, არც პოლიტიკური საარჩევნო კულტურაა საქართველოში დამკვიდრებული იმისთვის, რომ არ აჰყვნენ ხელისუფლებას, ჩვენი ამომრჩეველი ყოველთვის მხარს უჭერს ხელისუფლების წარმომადგენელს. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ჯერჯერობით ასეთი პრაქტიკაა დამკვიდრებული.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ტექინსპექტირების ახალი რეგულაციები

ტექინსპექტირების **რეგლამენტში შესული ცვლილებით, გამკაცრდება ავტოსატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვის კონტროლი და არსებულ რეგულაციას გამონაბოლქვის მოჭარბებული კვამლიანობის კონტროლის კომპონენტი დაემატა. აღნიშნული ცვლილება შეიტანა საქართველოს მთავრობამ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების რეგლამენტში.**

ცვლილების თანახმად, ბენზინისძრავიანი სატრანსპორტო საშუალება დახარვეზდება, თუკი ვიზუალური შემოწმებისას მოჭარბებული კვამლის შეფერილობა იქნება შავი, ნაცრისფერი ან ლურჯი.

ანალოგიურად შემოწმდება დიზელისძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებებიც.

პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა საქართველოში 2018 წლიდან დაიწყო, რომელიც 4 ეტაპად მიმდინარეობს.

* * *

ინსპექტირების **ახალი პერიოდულობა ტაქსებსაც შეეხებათ, რომლებიც პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას ავტომობილის გამოშვებიდან ერთი წლის შემდეგ გაივლიან, ხოლო ყოველ მომდევნო ტექინსპექტირებას ექვს თვეში ერთხელ გაივლიან. ამით ცვლილება შევიდა ტექინსპექტირების რეგლამენტში, რომლითაც ტაქსების ტექინსპექტირება წელიწადში ერთხელ უნდა განხორციელებულიყო.**

რეგლამენტში შესული სიახლე ასევე შეეხო შემდეგ ვალდებულებებს:

- იდენტიფიკაციის მიზნით სატრანსპორტო საშუალების ფერის დადგენის ვალდებულებას;
- მესაკუთრის ვალდებულებას — სატრანსპორტო საშუალების ფერის შეცვლის შემთხვევაში მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს;
- მინების დამუქების ინსპექტირების ვალდებულებას.

* * *

M1 კატეგორიის **ელექტროძრავით აღჭურვილი ავტომობილების ინსპექტირებისთვის დადგენილი საფასური 20 პროცენტით მცირდება. აღნიშნული ცვლილება შევიდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექინსპექტირების რეგლამენტში.**

ახალი რეგლამენტის ამოქმედების შემდეგ, ტექინსპექტირების საფასური ასეთი კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის მხოლოდ 48 ლარი იქნება. რეგლამენტის თანახმად, M1 კატეგორიისაა ავტოტრანსპორტი, რომელსაც მძღოლის გარდა, არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილი აქვს.

ვისია ქართველთა საქართველო?!

რატომ გვედავებიან ქართულ მიწას?

ცუდის ჰაზ ორდა მცურობა,
ჯარეთ ბოდაშ მცარიანი!..

ვეფ-ფეფეილ

სულმნათი ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ.“

დაჩაგვრის, შეურაცხყოფის, აბუჩად აგდების, დამცირების, პროვოკაციის, ისტორიის გაყალბების და სხვა სახის ღალატის მეტი რა გვახსოვს ჩვენი ბედკრული ქვეყნის წარსულიდან. ვისაც როგორ უნდოდა, ჩვენი ერის წარსულის და დამცირების ხარჯზე ცდილობდა საკუთარი ქვეყნის ისტორიის წარმოჩენას.

წერილი ძალიან ზოგადი რომ არ გამოვიდეს, რამდენიმე ფაქტს მოვიყვან ჩემო მკითხველო და თქვენმა გონიერებამ განსაჯოს, ვინაა მართალი და ვინ — მტყუანი.

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს ტერიტორიების ხელყოფა-მიტაცების თემა ძველი ტკივილია და დარწმუნებული ვარ, თითოეული ღირსეული ქართველის გულისწყრომას იწვევს. ვინ აღარ ეპოტინებოდა და დღესაც ეპოტინება ჩვენს მიწა-წყალს, არაბები, თურქები, სპარსელები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, მონღოლები, დაღესტნელები და რა ვიცი, ვინ არ მოისურვა ღვთივკურთხეული მიწა-წყლის დასაკუთრება, რაშიც ჩვენი ერის მძიმე წარსულთან ერთად ქართველთა გულარხეინობის და მიმნდობი ხასიათის ბრალიცაა. ამასობაში საქართველოს მთა-ბარი შაგრენის ტყავივით პატარავდება, მცირდება მოსახლეობა, ჩვენი უხეირო მმართველების გამო, 1.5 მილიონმა ქართველმა მიატოვა სამკვიდრო და უცხოეთში გადაიხვეწა, თითქმის ყველა საუკუნეში ჩვენს სამშობლოს მისხალ-მისხალ აკლდება ტერიტორიები, აგერ XXI საუკუნეშიც ტერიტორიის 20% კიდევ დავკარგეთ და მომავალ თაობას რას დავუტოვებთ, არავინ იცის.

ჩვენივე გულგრილობით და ზედმეტი ტოლერანტობით ქვეყანა საუკუნეების მანძილზე ივსებოდა სხვა ერის წარმომადგენლებით, რომლებიც თვალთმაქცურად, ვითომ მოყვრულად თავის გადასარჩენად მდიოდნენ და მერე როგორც კი მოძლიერდებოდნენ, აქეთ გვედავებოდნენ ტერიტორიებს, ეკლესია-მონასტრებს, ენას, სარწმუნოებას, მოყვრულად მოსული მტრად იქცეოდა და ლამობდა ჩვენს განდევნა-შევიწროებას. ხშირად გადამთიელები კიდეც აღწევდნენ და დღესაც აღწევენ საწადელს!

ორ ცეცხლს შუა ვართ, ქართველები ლუკმაპურისთვის ევროპა-ამერიკაში გარბიან და მუსულმანური სამყაროს წარმომადგენლები ჩვენკენ მორბიან, გაივსო თბილისი ირანელი, თურქი, სირიელი, პაკისტანელი, ინდოელი თუ აზიის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებით.

ქვეყნის ხელისუფლებამ თუ საგანგებო ზომები არ მიიღო ამ ლტოლვილთა შესაჩერებლად, რამდენიმე ათეულ წელიწადში ისტორიას მხოლოდ სიტყვა „საქართველო“ შემორჩება ქართველების გარეშე.

საქართველოს ტერიტორიის მიტაცება რომ ოცნებად აქვს გადაქცეული ახალშექმნილი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ მეთაურებს, კარგად ვხედავთ. რუსების დახმარებით აგერ უკვე 10 წელია, თანდათანობით მოცოცავენ ქართული სოფლების ხელში ჩასაგდებად, ავლენენ მავთულხლართებს და ახლა სათვალთვალო კოშკურაც აღმართეს. პარალელურად საქართველოს იმ კუთხეებსაც ეპოტინებიან, სადაც ოსმა ერთხელ მაინც თუ დადგა ფეხი. სულ ახლახან გერმანულ გაზეთში, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი მედოევმა განაცხადა. **„ოსეთის რესპუბლიკა არასოდეს აღიარებს აღმოსავლეთ ოსეთის მიწებს საქართველოს ტერიტორიად და, ადრე თუ გვიან, ეს მიწები ოსეთს დაუბრუნდება. სამხრეთ ოსეთის დიპლომატები ყოველთვის ამახვილებდნენ ყურადღებას ყაზბეგის რაიონზე, მათ შორის, ჟენევის მოლაპარაკებებზე“.**

როგორც გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი როლანდ თოფჩიშვილი წერს, ოსი სეპარატისტები გაყალბებული ისტორიის გავრცელებაში დიდძალ ფულს ხარჯავენ, ჩვენ კი ამ თემაზე ქართული სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანიც ვერ მოგვიხერხებია. აი, ჩვენი ქართული ბედოვლათობის კლასიკური ნიმუში.

ბატონ დიმიტრი მედოევზე რამდენიმე წლით ადრე ოსეთის იმდროინდელმა ლიდერმა კოკოითიმ თავის ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში განაცხადა: **„გუჯარეთის ხეობაც ჩვენია და მალე იმასაც დავიბრუნებთო“.**

იმხანად კოკოითის „ნააზრევს“ არგუმენტირებული პასუხიც დავუწერე გაზეთ „ბორჯომში“ და, როგორც მითხრეს ჩემმა მეგობარმა ოსებმა ცხინვალში ჩაიტანეს და იქ, ვისაც საჭირო იყო, გადასცეს, მაგრამ პასუხი არავის გამოუგზავნია.

ვიცი, ოსებსაც ისტორიულად ქართველებივით მეტად მძიმე წარსული აქვთ. მონღოლებისგან შევიწროებული მომთაბარე ოსები გადარჩენისათვის იბრძოდნენ და სხვა ადგილებში გადმოდიოდნენ საცხოვრებლად, ასე ბრძოლით დაიპყრეს ქართველთა ტერიტორია — დვალეთი, შემდეგ ყაზბეგის რაიონში თრუსოს ხეობა, ლიახვისა და თერგის სათავეები აითვისეს, XVI-XVII საუკუნეებში თანდათანობით ჩამოივაკეს და ჯავაში დასახლდნენ, XX საუკუნის დასაწყისში ცხინვალში ორი თუ სამი ოსური ოჯახი ცხოვრობდა. მერე აქაც გამრავლდნენ.

კარგად ვიცით ოსების ბორჯომის ხეობაში დასახლების ისტორიაც. ისინი რომანოვებმა ჩამოასახლეს. გუჯარეთის ხეობაში ცხრა სოფელი ოსებით იყო დასახლებული, უფრო ადრე XVII-XVIII საუკუნეებში გუჯარეთის ხეობა საციციანოს საკუთრება იყო და იქ მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ, ასე იყო დიდ და პატარა მიტარბშიც და ბაკურიანშიც.

რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა, ოსებსა და ქართველებს შორის, ისიც ცნობილია, თუ ვინ აამღვრია ჩვენს შორის წყალი და იმ ავბედით ისტორიაზე არ ვისაუბრებ.

ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობით ხშირად მიწევდა გუჯარეთის ხეობაში ყოფნა, არაერთი ღამე მითევია ოსურ ოჯახებში. ყველა სოფელში მყავდნენ მეგობრები და მათთან ერთად ბევრი სასიკეთო საქმე გვიკეთებია. კარგად ვიცი რიგითი ოსების ბუნება, ისინი გულკეთილი, მეგობრული ხალხია. ამ ადამიანებს ჭკუა-გონება „დამოუკიდებლობის“ მოსურნე „თბილი სკამების“ მოყვარულმა ე.წ. „პატრიოტული“ სულისკვეთებით აღზრდილმა ვაი-პოლიტიკოსებმა აუმღვრიეს და რუსების კალთას ამოფარებულებმა საწადელსაც მიაღწიეს.

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და ოსეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელები იმასაც ხმამაღლა აცხადებენ: მლეთა, ღუდა, არაგვის ხეობის მარჯვენა მხარე, გორი და მცხეთა ჩვენიაო, უფრო მეტიც, თურმე სვეტიცხოველი ოსების აშენებული ყოფილა!

რამაც ეს წერილი დამაწერინა და გამაცეცხლა, ისაა, რომ ოს „მეცნიერებს“ „დაუდგენიათ“, რომ თურმე 100 ქართული გვარი, მათ შორის გუდიაშვილები, მაისურაძეები, ლომიძეები და ა.შ. ოსები ყოფილან!..

თუ რა მიზანს ემსახურება ქართველების ოსებად „აღიარება“, გასაგებია. კვლავ შუღლის ჩამოგდებას ლამობენ, რაც ნამდვილად დამღუპველი იქნება ორივე ერისთვის. სამწუხაროდ, შერიგებისკენ ოსებს ერთი ნაბიჯიც არ გადმოუდგამთ, სამაგიეროდ — ცხინვალთან შედარებით — საქართველოში მცხოვრები ოსები ნამდვილად ბედნიერად და ყოველგვარი შეფერხების გარეშე ცხოვრობენ.

კარგად ვიცი ლომიძეების გვარის ისტორია, შევისწავლე გვარის წარმოშობის გენეზისი, გვარის გავრცელების არეალი, სად რამდენი ლომიძე ცხოვრობს, რუკაზე მაქვს დატანილი და ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასეთ მკრეხელობას დაგვაბრალებდნენ ლომიძეებს. არადა, ლომიძეების ოსად აღიარების ფაქტები არსად წამიკითხავს.

ისე, ოსი ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების საყურადღებოდ ვიტყოდი: ქართველი კაცი თავისი გვარის ისტორიით მუდამ ამაყობს, ოსი „მეცნიერების“ საყურადღებოდ კი დავძენ — იქნებ ამიხსნათ, თუ ქართველმა ოსურად დაილაპარაკა, ოსი ყოფილა და თუ 100 ათასი (ამდენი ოსი ცხოვრობდა საქართველოს რეგიონებში, ხოლო ე.წ სამხრეთ ოსეთში მხოლოდ 60 ათასი) ოსი ქართულად საუბრობს, ქართველებად რატომ არ იწოდებიან?

ვთხოვდი ოს „მეცნიერებს“, გვარის გამომცვლელ-გადამკეთებლები საკუთარ ერში მოიკითხონ!

* * *

დიდი ილია, როცა „ქვათა ღაღადს“ წერდა, ამბობდა: **„ერთი ჯგუფი სომეხი მეცნიერებისა“ შოთა რუსთაველს — სომხად, ხოლო ქართულ ანბანს — მესროპ მაშტოცის შემოქმედებად ამტკიცებს, მაგრამ, რაც დრო გადის, ჩვენი მეზობლების მადა კი არ ცხრება, პირიქით, კიდევ უფრო იზრდება, არადა, დროა, სერიოზულად მოეკიდონ ამ გამოხტომებს.**

ვერაფრით აიტანეს ქართული ღვინის აღიარება და სულ ახლახან ახალი ჰიპოთეზა წამოაყენეს — სომხური ღვინო ქართულს ჯობია და ჩვენ ვართ ღვინის სამშობლოო. ახლა საქართველო ჩვენი კონკურენტი აღარ არისო! უფრო შორს წავიდნენ და იტალიურ, ფრანგულ, ამერიკულ, ახალ ზელანდიურ ღვინოებსაც ხარისხით ვუსწრებთო.

სომხური ღვინის ცენტრის ხელმძღვანელმა ავაგ არუთინიანმა რუსულ ტელეარხს განუმარტა, მაღალმთიანი სომხეთი მეღვინეობის აკვნადაა მიჩნეულიო, რაზეც ასირიული წყაროები მიუთითებენო.

ჩვენდა სასახელოდ საქართველოში ღვინის 500-მდე ენდემური ჯიშია ცნობილი, სომხეთში კი ღვინოს ვაშლის წვენისგან ამზადებენ, ისიც საკითხავია, სომხეთის მაღალმთიანეთში სად ხარობს სომხური ვენახი სადაც ხესაც კი უჭირს გახარება.

„კახეტ“-ის სახელით სომხები ღვინოს მოსკოვში, ხოლო ქართულ ჩურჩხელას „სომხურ სნიკერსად“ ყიდიან. ქართული ხაჭაპური მადრიდის სომხურ რესტორანში კი „თბილისელ სომეხთა ქმნილებად“ არის წარმოჩენილი!.

თურმე სომხებმა ქართველებს არა მარტო ანბანი და ქრისტიანობა აჩუქეს, არამედ „ხაჭაპურიც“, დროშა, ღვინო და მრავალი სხვა. აზერბაიჯანელებმა სახელმწიფოებრივ დონეზე ამხილეს სომეხთა ქურდობა. დაამტკიცეს, რომ არ არსებობს „სომხური ლავაში“ ან სომხური ხაშლამა. ეს ორი პროდუქტი თურმე აზერბაიჯანისაა, სომეხთა „ტოლმაც“ თურქულ-აზერბაიჯანული ყოფილა (თურქულად „ტოლმა“ შეხვეულს ნიშნავს).

სომხების მიერ შეცვლილ ქართულ ტოპონიმებზე აღარაფერს ვიტყვი, ესეც დიდი ხნის ამბავია.

ღვინის და ჩურჩხელის სახელის „გასომხებას“ კაცი კიდევ გაუძლებდა, მაგრამ ხელისუფლებამ ჩვენი ავადმყოფი მეზობლების ასეთი თვითშემოქმედება უნდა აღკვეთოს.

* * *

ირანის პრეზიდენტი ჰასან რუჰანი რომ **საქართველოს „მშობლიურ მიწად“ მიიჩნევს, ხოლო თურქები ბათუმსა და აჭარას „ისტორიულ მიწებად“ ასახელებენ, ეს უკვე მეტისმეტია XXI საუკუნეში.**

არც სპარსი, არც ოსმალი საქართველოს მეგობარი არასოდეს იყო და არც იქნება. ისინი საქართველოს დაუძინებელი მტრები არიან. ამიტომ ქართველ მეცნიერებს, ისტორიკოსებს, პოლიტოლოგებს მოვუწოდებ, მეტი იზრუნონ საქართველოს ისტორიის პროპაგანდისთვის და მისი ტერიტორიების საზღვრების დაცვისთვის..

ვალერიან ლომიძე,
საქართველოს ლომიძეების საგვარეულოს დარბაზის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.

„ცხოვრებაში ყოველივეს ვერ ირჩევ, ზოგიერთი შენ გირჩევს“

ასე ამბობდა ელისაბედ ტეილორი

ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

ბრწყინვალე ელისაბედის უდრეკი ნებისყოფა

როცა ჯონ უორნერი სენატორად აირჩიეს, ქმრის დაწინაურებამ აიძულა ელისაბედი, რომ წონაში დაეკლო – 75-დან 57 კგ უნდა გამხდარიყო, რაც ნებისყოფის დიდ სიძლიერეს მოითხოვდა. ბრძოლა წონისთვის ასახულია ელისაბედის წიგნში – „ელისაბედ ტეილორი წონას აგდებს“, რომელიც 1987 წელს გამოვიდა. სამწუხაროდ, წონის ასეთმა დაკლებამ მსახიობს ჯანმრთელობა კიდევ უფრო გაუმყიფა. მომდევნო დიდი დარტყმა ელისაბედისთვის რიჩარდ ბარტონის სიკვდილი იყო, სასმელისგან ისედაც გამოფიტული „ჰოლივუდის ვარსკვლავი“ კიდევ უფრო მიეძალა სასმელს და მალე სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე აღმოჩნდა.

„მთელი ცხოვრება ბედი მწყალობდა. პრაქტიკულად ყველაფერი მივიღე საჩუქრად: სილამაზე, სახელ-დიდება, სიმდიდრე, პატივი, სიყვარული. მაგრამ ჩემი ბედნიერება კატასტროფებად მიჯდებოდა. საშინელი დაავადებანი, დამანგრეველი ჩვეულებანი მიშხამავდნენ სიცოცხლეს. ყველაზე საშინელი კატასტროფა მაინც ვერ წარმომედგინა. 65 წელს ერთი თვეღა მიკლდა, რომ ტვინში დიდი სიმსივნე აღმომაჩნდა, რომელიც მყისიერ ოპერაციას საჭიროებდა“, – იგონებდა ელისაბედ ტეილორი.

ელისაბედის დაბადების დღე დაემთხვა „ოსკარის“ პრემიის მინიჭებას. კმაყოფილი და ბედნიერი ელისაბედი ურიცხვი თაიგულით გარშემორტყმული იწვა და სიამოვნებით უცქეროდა ტელევიზორს: მსახიობებს პრემიებს ურიგებდნენ, მაგრამ ვინ იცის, ვის როდის გაუღიმებდა ის დიდება, რომელსაც ის უკვე ფლობდა.

თავისი დაავადებების თაობაზე ელისაბედ ტეილორი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა: „ჩემი სხეული ხან ჭკუიდან მშლის. მსოფლიოში ცოტა თუ იქნება ისეთი ადამიანი, ჩემსავით რომ დატანჯულიყოს. პნევმონიები, ოპერაციები ზურგზე, თვალებზე, მუხლებსა და ტერფებზე... აღარ ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ამოკვეთილი მაქვს გლანდები და ბრმანაწლავი. სამჯერ მაქვს გადატანილი საკეისრო კვეთა და ერთხელ ტრაქეოტომია. ნაწილობრივ ამოკვეთილი მაქვს საშვილოსნო. არ დამკლებია არც წითელა და არც დიზენტერია. აღარაფერს ვამბობ ალკოჰოლიზმის მკურნალობასა და ნარკოდამოკიდებულებაზე. თავის ტვინის ოპერაცია გადავიტანე ორი წლის შემდეგ, ბარძაყებში ხელოვნური სახსრები რომ ჩამინერგეს. მერე კიდევ დამჭირდა ერთი ოპერაცია ხელოვნური სახსრების კორექტირებისთვის, მაგრამ მაინც მწამს სიცოცხლე და სანამ პირში სული მიდგას, მუდამ ვიბრძოლებ სიცოცხლისთვის!“

მართალია, ექიმთ არაფერი არ დაუკლიათ დიდი მსახიობის გადასარჩენად, მაგრამ 2011 წლის 23 მარტს ტეილორი 79 წლისა გარდაიცვალა გულის უკმარისობით. სულამომდინარ დედას ერთი წუთით არ მოშორებიან შვილები, ოთხივენი. იგი 24 მარტს დაკრძალეს „ფორესტ-ლოუნის“ სასაფლაოზე, რომელიც გრენდეილის მთის ფერდობზეა, ლოს-ანჯელესის გარეუბნის პარკში. ამ ცნობილ სასაფლაოზე განისვენებენ ამერიკული კინემატოგრაფის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან კლარკ გეიბლი, კეროლ ლომბარდი, ჯინ ხარლოუ, მულტიპლიკატორი უოლტ დისნეი, მომღერლები ნატ კინგი და მაიკლ ჯექსონი, ელისაბედ ტეილორის ახლო მეგობარი.

დაკრძალვის ცერემონიას, რომელიც ერთ საათს გაგრძელდა, ესწრებოდნენ მარტოოდენ ელისაბედ ტეილორის ახლო ნათესავები, რომელთა შორის იყვნენ ოთხი შვილი და ცხრა შვილიშვილი. მიმდებარე კვარტალი გადაკეტილი იყო პოლიციის მიერ. მსახურება შესრულდა იუდეური წესით, ვინაიდან 1959 წელს ელისაბედი ედი ფიშერს რომ გაჰყვა ცოლად, იგი იუდეურ სარწმუნოებაზე მოიქცა. ამით აიხსნება ელისაბედის მალე დაკრძალვა – თორას მიხედვით მიცვალებული სულის ამოსვლიდან 48 საათში უნდა დაიკრძალოს.

მსახიობის თაყვანისმცემლებს რამდენიმე დღე მიჰქონდათ ცოცხალი ყვავილები, რბილი სათამაშოები და ბარათები ელისაბედის საფლავზე დიდების ხეივანში. იგონებდნენ საყვარელი მსახიობის გადამდებ ხალისიანობასა და სიცოცხლის ტრფიალს.

ცხოვრებასა და სიკვდილზე

ცხოვრება ჩვენ თვითონ ვართ. ზესთა ძალებს არცროდის არ ძალუძთ უდანაშაულო ადამიანის დასჯა. ამიტომ ეცადეთ, რომ აუკრძალოთ თქვენს თავს სიბრაზე და შურისგება, განეწყვეთ სიკეთის ქმნისა და მიტევებისთვის.

* * *

ცხოვრება და სიკვდილი ჩემი საყვარელი ხანგრძლივი სალაპარაკო მეორე თემაა. პირველი კი ბრილიანტებია.

* * *

ცხოვრება თითოეულ ჩვენგანს გვიმზადებს მოვლენათა მთელ კოლექციას: ხელმოკლეობას, ტრიუმფთ, თავშესაქცევ თავგადასავალთ, სასიყვარულო ამბებს, ცრემლთ, ღიმილთ, ნამდვილ მეგობრებთან და მტრებთან შეხვედრებს, შესაძლებლობებსა და შანსებს. ცხოვრება არჩევნის უფლებას გვაძლევს, ოღონდ ადამიანები იშვიათად იყენებენ ამ უფლებას, თავს კი იმ გამონაგონით იმართლებენ, ყველაფერი ჩვენ მაგივრად უკვე გადაწყვეტილიაო.

* * *

ცხოვრებაში ყოველივეს ვერ ირჩევ, ზოგიერთი შენ გირჩევს.

* * *

თუ იმის თავი არა გაქვს, რომ ცხოვრების სუყოველ წამს შეჰხაროდე, შენც ადექი და სხვა საქმეს მოჰკიდე ხელი.

* * *

ჩემი გაგებით, ის უნდა აკეთო, რისი გაკეთებაც გარდაუვლად სწორედ ახლაა საჭირო. სულ ტყუილია მოლოდინი ან იმედოვნება თუ რაღაც ისეთის ვარაუდი, რასაც სიკვდილის შემდგომ მოეწევი. ასეთი პოზიცია კარგს არცრას არ გვიქადის.

* * *

ადამიანებო, გიყვარდეთ ცხოვრება, დანარჩენი თავისთავად მოგვარდება.

საკუთარ თავზე

ისეთი გრძნობა მაქვს, ვითომ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ებრაელი ვიყავი.

* * *

თუ მთელი ასი პროცენტით არ გამოვიყურები, საზიზღრად ვგრძნობ თავს.

* * *

ვიცი, რომ ლამაზი ვარ, თუმცა ფეხები ცოტა მემოკლება, ტერფები მედიდება, თეძოები კი მეგანიერება. უფრო მეტიც, ღაბაბი მესამკეცება, ერთი სიტყვით, სრულიაო, ჩემზე ითქმის.

* * *

მერწმუნეთ, ბოზოქარ რომანებს სამუდამოდ შევეშვი.

* * *

მთელი ჩემი ცხოვრება მთელი გულით ორი მამაკაცი მიყვარდა: მაიკლ ტოდი და რიჩარდ ბარტონი.

* * *

ოცი წლისაზე ცოტა მეტი რომ ვიყავი, კინაღამ თვალი და ფეხი არ დავკარგე?! ახლა ორივენი ძველებურად ისევ ჩემთან არიან, ვაშა!

* * *

ჩემი საფიქრალი მუდამ დიდი ოჯახი იყო, ბავშვები ჩემთვის ყველაზე უფრო მანუგეშებელი არიან ცხოვრებაში. უნდა ვაღიარო, არცროდის ისე კარგად არ მიგრძნია თავი, ვიდრე მაშინ, როცა ბავშვს ველოდი. ბავშვის დაბადება ყოვლის უფრო იდუმალი და ენით გამოუთქმელი მიწიერი საოცრებაა. ნამდვილი საოცრებათა საოცრებაა.

* * *

ვიცი, რომ ვულგარული ვარ. თქვენ რა, სხვანაირი გინდოდათ, რომ ვყოფილიყავი?

* * *

ვიცი, რომ განებივრებული ვარ, მაგრამ, როგორც მეჩვენება, ადამიანები ჩემ მიმართ ცოტა მკაცრნი არიან. მე ერთი, ჩვეულებრივი გოგო ვარ, ყველა ჩემი ღირსებითა და ნაკლოვანებით, მაგრამ რახან თანაც კიდევ კინოვარსკვლავი ვარ, ამიტომ შესაძლებლობა არა მქონდა, რომ მეც ისე განვვითარებულიყავი, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი. თოთხმეტი წლიდან სულ გულამოჭრილი კაბა მაცვია და უკვე იმ დროიდან ჩემ გარშემო მყოფნი ელიან, რომ ჯეროვნად მოვიქცევი. მთელი ჩემი შავსვიანობა იმ ამბიდან დაიწყო, რომ ქალის სხეული მაქვს და ბავშვის ემოცია.

* * *

ღმერთმა იცის, არცროდის ჩემს ცხოვრებაში იოლი გზები არ მიძებნია. მე ყოველთვის მესმოდა, ყველაფერ იმას უნდა შევხვედროდი, თანაც მთელი ძალით, რასთან შეხვედრაც ცხოვრებამ მოგვიმზადა. ვგონებ, რომ ადამიანები ისევე ყალიბდებიან, როგორც კლდეები ბუნებრივ პირობებში, ანუ გამოცდილებისა თუ გულის დამფლეთელი არაერთი დანაკლისის, არცთუ იშვიათი შეცდომებისა თუ თრობისა და სირცხვილის გამო განცდილი სინანულის წყალობით...

* * *

ჩემს ცხოვრებაში არცროდის არა ვყოფილვარ ლამაზ მამაკაცთა ყურადღებით განაწყენებული. ვიცი, იმათ ვუყვარდი და მეც ვეგრძნობიერებოდი.

* * *

კინოაკადემიკოსებმა ფილმში – „ბატერფილდი,8“ „ოსკარი“ მომანიჭეს თანაგრძნობის გამო. იმხანად დავკარგე ქმარი, თანაც მძიმედ გავხდი ავად. გადავიტანე „ტრაქეოტომიის“ სახელწოდების ოპერაცია. მსახიობმა შირლი მაკლეინმა, რომელიც ფილმ „ბინა“-ში თავისი როლისთვის „ოსკარის“ მიღებას იმედოვნებდა, ცოტა არ იყოს, ნაწყენმა თქვა: „რა ვქნა, ტრაქეოტომიასთან წავაგეო“.

* * *

ყოველ დილას ჩემს ცხენთან ერთად ვატარებ და სრულ თავისუფლებას ვგრძნობ. ამ დროს უჩვეულო ერთობას ვგრძნობ ხეებთან, ბალახთან და ქართან და ვტკბები – მერე ისევ სტუდიაში ვბრუნდები და კვლავ მარიონეტად ვგრძნობ თავს.

* * *

წელიწადში სულ 100 ათას დოლარს ვხარჯავ კაბებზე. ცხადია, ძვირფასეულობის ჩაუთვლელად.

* * *

არასოდეს წყნარი ცხოვრება არა მქონია, უბედურებანი ისე მოულოდნელად მეტაკებოდნენ, როგორც მატარებლები. მაგრამ ბედს ყოველთვის სახეში ვუყურებდი, თუმცა ხან იმდენად არაკეთილი იყო, რომ თვალის მორიდება მინდოდა. და მაინც ვაღმერთებ ცხოვრებას.

(გაგრძელება იქნება)



ადამიანებს სჭირდებათ, რომ აუცილებლად ადევნონ თვალი თავიანთ აღნაგობას. იცით, რა მეხმარება დიეტის დაცვაში? ავდექი და ჩემი მაცივრის კარს ელისაბედ ტეილორის ერთ-ერთი საუკეთესო სურათი მივაკარი. ეს თქვენც დაგეხმარებათ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №31-32, 35, 37-40

მსოფლიო ისევ ძალის პოლიტიკაზეა დაფუძნებული

სტოლტენბერგის განცხადებიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ისევ ატყუებენ!..

არც ერთ ხელისუფლებას ნატოსკენ მიმავალი ნაბიჯები ისე სწრაფად და ეფექტიანად არ გადაუდგამს, როგორც შევარდნაძისას. პირველი ნაბიჯიც მან გადადგა და აშშ-ის პრეზიდენტის კლინტონის დროს ნატოს კავკასიაში ფართოდ გაუხსნა კარი. შევარდნაძის დროს ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ნატოს მთელ რიგ პროგრამებს. შევარდნაძის დროს დაიწყო საზოგადოებისთვის ნატოს გაცნობა-დაახლოების პროცესი, რომელიც დღესაც გრძელდება.

„დაკაკუნების“ თემაც შევარდნაძის მიერ ითქვა გასულ საუკუნეში, მას შემდეგ, რაც მან დასავლეთიდან დასტური მიიღო ორგანიზაციაში შესვლის თაობაზე. შევარდნაძის შემდეგ მოსულ ხელისუფლებას — სააკაშვილის სახით, არც არაფერი დაუკლია ქვეყნის ნატოსკენ მიმავალი პროცესისთვის, მაგრამ მისმა შიდა პოლიტიკამ, დიქტატორულ-სადისტურმა მმართველობამ, ცხინვალში გაჩაღებულმა ომმა და სხვა ანტისახელმწიფოებრივმა ქმედებამ მძიმედ იმოქმედა ნატოს შტაბბინაზე და ნატოს წევრ სახელმწიფოებზე. მათ მტკიცედ ჩამოუყალიბდათ აზრი, რომ ნატოში გაწევრებული საქართველო დიდი თავის ტკივილი იქნებოდა ნატოსთვის...

„საოცნებო“ ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს წინამორბედის მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომების გამოსწორებას და ნატოსთვის თავის ისე მოჩვენებას, თითქოს ისეთივე დემოკრატიული იყოს, როგორც ნატოს უხუცესი წევრები, მაგრამ ისიც, ისეთს თუ არა, მაინც შეცდომებს უშვებს, როგორც წინამორბედი.

მარტო გასულ წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ეუთოს მიერ ნეგატიური დასკვნა რად ღირს. სხვა ხარვეზებს რომ თავი დავანებოთ (არაფორმალურ მმართველობას, სასამართლო სისტემის გაუმართაობას, მეზობელ ქვეყნებთან მოუწესრიგებელ საზღვრებს და სხვა), საპრეზიდენტო არჩევნებში გამოვლენილი ნაკლოვანებები ნატოს არ უქმნის პოზიტიურ შთაბეჭდილებას ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მიმართ, რის შესახებაც ნატოს შტაბბინაში ამბობენ კიდევაც, მაგრამ დიპლომატიურად, მოზომილად, ლანძღვა-გინების გარეშე.

„რბილი“ ნათქვამი, ნაცვლად დაფიქრებისა და სათანადო დასკვნების გამოტანისა, პოზიტიურად განაწყობს ხელისუფალთ, რასაც მოსახლეობისთვის გულისამაჩუყებელი გასაკეთებელი განცხადებები ახლავს — ნატოში აუცილებლად შევალთო!

ასე გაილია მრავალი წელი „მიკაკუნების“ ხსენებიდან დღემდე. ნატო კი არ ჩანს, ანუ კარი ღიაა, მაგრამ არა ჩვენთვის. ნატოს მერამდენე გენერალური მდივანი გვეუბნება, რომ „კარი ღიაა“, მაგრამ...

დღევანდელიც გვპირდებოდა და გვპირდება გაწევრებას, მაგრამ, როგორც ჩანს, ისე დაამთავრებს ნატოში თავის მოღვაწეობას, დანაპირებს ვერ შეგვისრულებს. მასაც, ისე, როგორც მის წინამორბედებს უჭირთ სიმართლის თქმა, ვინაიდან ისინი შემსრულებლები არიან და არა გადაწყვეტილების მიმღებნი. გადაწყვეტილებას კი ღებულობენ ნატოში შემავალი ქვეყნების ლიდერები და ამ ლიდერთა შორის ბობოლები — აშშ-ის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის მეთაურები. აი, აქ კი ჯერჯერობით ისეთი არაფერი თქმულა, ნატოს კარი რომ გაიღოს.

პირიქით, საწინააღმდეგო ითქვა — აშშ-ის პრეზიდენტის ობამას მხრიდან — საქართველო უახლოეს მომავალში ვერ გახდება ნატოს წევრი. მაშინ საქართველოს ხელისუფლებამ „ვერ გავიგეს“ პრინციპით იმოქმედა და მტკიცედ გააგრძელა ნატოში გაწევრების საკითხზე ლაპარაკი, თითქოს დღეს თუ არა, ხვალ უდავოდ აგვისრულდებოდა ოცნება.

ნატოში შესვლა-არშესვლის მიზეზი არაერთია და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ერთ-ერთი რუსეთის ფაქტორია, რომელსაც არც ნატოს შტაბბინაში და არც წევრ-სახელმწიფოებში ხმამაღლა არ ამბობენ, პირიქით, რასაც გვეუბნებიან, ისაა, რომ ნატოში შესვლის საკითხს ნატოელები წყვეტენ და არა არაწევრი ქვეყნები, ანუ რუსეთი.

გადაწყვეტისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბრიუსელი რომ რუსეთის მოსაზრებას ყურადღებას აქცევს, ფაქტია. რუსეთს კი არაერთხელ უთქვამს, რომ კატეგორიულად ეწინააღმდეგება უკრაინა-საქართველოს ნატოში შესვლას. შეუძლია თუ არა ბრიუსელს პირდაპირ გვითხრას, რომ ნატოსთვის საქართველო მზად არ არის და კარგა ხანს არ იქნება?

შეუძლია და გვეუბნება კიდეც, მაგრამ ჩვენ ვერ ან არ ვიგებთ, ვინაიდან გაგების შემთხვევაში ხელისუფლება დაკარგავს იმ საკენკს, რომელსაც ხალხს უყრის — გადააქვს რა ყურადღება მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიდან ნატოში გაწევრებაზე. ნატოსაც არ აწყობს გაჭრილად, მტკიცედ და უყოყმანოდ იმის გაცხადება, რომ ნატოს შესაფერისი არ ვართ — უპირველესად იმიტომ, რომ ზურგი არ შევაქციოთ დასავლეთს და ჩრდილოეთისკენ არ გავიხედოთ.

გარდა ამისა, ნატოს არ სურს ჩვენზე დახარჯული ფულის წყალს გატანება. მისი აზრით, თუ ნატოში არ შეგვიშვებს — ნატოს ზღურბლთან გვამყოფებს. არ ვიქნებით ნატოში, მაგრამ ნატო იქნება ჩვენში — სამხედრო ექსპერტების, დამრიგებლების, სამხედრო მანევრების, სამხედრო-საწვრთნელი ცენტრების სახით. ჩვენი მეომრები იქნებიან მსოფლიოს ცხელ წერტილებში და იქნება დასავლელი პოლიტიკოსების მხრიდან პერმანენტული მხარზე ხელის თათუნი, სამადლობელი სიტყვები ავღანეთსა თუ სხვაგან კარგი სამსახურისთვის.

ჩვენი ზომის ნატოს წევრი რომელი ქვეყანა დაიკვეხნის იმ რაოდენობის მეომრების ყოლას ავღანეთში, როგორც არაწევრი საქართველო?!

ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე იყო საუბარი ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგსა და საინფორმაციო სააგენტო „აქცენტის“ ჟურნალისტ მარიკა ჩუბინიძეს შორის, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. სტოლტენბერგმა თქვა — ნატოს 30-ე წევრად ჩრდილოეთ მაკედონიის მიღებასთან დაკავშირებით. ჩვენს გასაგონად კი აღნიშნა — ნატოს კარი ღიაა დემოკრატიული ქვეყნებისთვის.

მან ჩამოთვალა ყველა ის საკითხი, რომელთა გადაჭრა აუცილებელია ნატოში შესასვლელად. აი ისინიც: „საქართველომ ყურადღება უნდა გაამახვილოს დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდირებასა და კანონის უზენაესობაზე; სასამართლო სისტემის რეფორმირებაზე; პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობაზე; თავდაცვისუნარიანობის ნატოს სტანდარტების შესაბამისად განვითარებაზე. მომავალი არჩევნებისთვის, საპრეზიდენტო არჩევნების დროს დაშვებული ნაკლოვანებების გამოსწორებაზე და ყველასთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფაზე“.

ჩამოთვლილი საკითხების გამოსწორება და დასავლეთისთვის მისაღებ რელსებზე დაყენება საქართველოს ხელისუფლების, პოლიტიკისა და საზოგადოებისთვის უაღრესად ძნელად განსახორციელებელი ამოცანაა, ჩემი სუბიექტური მოსაზრებით ამ თაობისთვის შეუძლებელი. თუ კარგად ჩავუკვირდებით სტოლტენბერგის თითოეულ სიტყვას და მის მნიშვნელობას ჩემი ნათქვამი, უფრო სწორად, სკეპტიციზმი გაზვიადებულად არ მოგეჩვენებათ.

სტოლტენბერგმა თქვა ისიც, რაც არაერთხელ გვსმენია: „ნატო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ რუსეთს, უკან წაიღოს საქართველოს რეგიონების — სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. ...“.

რუსეთს არაერთხელ მოუსმენია მსგავსი განცხადებები და ისიც უთქვამს, რომ დასავლეთმა ეს საკითხი ახალი რეალობის ჩარჩოებში უნდა განიხილოს. ახალი რეალობა კი სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ შექმნეს — ცხინვალში ომის გაჩაღებით.

სიმართლე უნდა ითქვას — რა არის მთავარი შემაფერხებელი ნატოში გაწევრებისთვის. სტოლტენბერგს ჩრდილო მაკედონიის მაგალითი მოჰყავს — ქვეყნის, რომელსაც ნატოში სახელწოდების გამო არ იღებდნენ, ვინაიდან სახელი დიდ გართულებას იწვევდა საბერძნეთში. და ამ დროს სტოლტენბერგი არაფერს ამბობს მთავარზე — ნატოს წესდებიდან გამომდინარე, საქართველო ვერ გახდება ნატოს წევრი, ვიდრე მას ტერიტორიების საკითხები არ ექნება მოგვარებული.

აღნიშნულის მოგვარების ორი გზა არსებობს — აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება ან დაბრუნება. დაბრუნებაც ორი გზით შეიძლება — მოლაპარაკებით ან ომით. მეორე გამორიცხულია ჩვენი სისუსტისა და სიმცირის გამო, მოლაპარაკებაც უმნიშვნელო პერსპექტივასაც არ აჩენს — „ცდა ბედის ანაბარას“ დონეზეც.

მოლაპარაკების პროცესი ხანგრძლივი და უსასრულობაში გადასული იქნება, თუმცა არვინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენებები მსოფლიო საჭადრაკო დაფაზე. ასეა თუ ისე, საქართველოს ერთადერთი გზა რჩება — მოლაპარაკება რუსეთთან, აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან. სტოლტენბერგიც, თუ მას ჩვენი ქვეყნისთვის სიკეთე უნდა, აქედან უნდა გამოვიდეს და არა რუსეთისადმი მემილიონე მოწოდებით — უკან წაიღოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

სტოლტენბერგმა და მისმა კოლეგებმა კარგად იციან, რომ განცხადებებით და მოწოდებებით რუსეთს ვერ შეაშინებენ, მითუმეტეს გულს ვერ აუჩუყებენ, ვერც ეკონომიკური სანქციებით დააჩოქებენ.

თანამედროვე მსოფლიო, დაფუძნებული ძალის პოლიტიკაზე, არც საერთაშორისო სამართალს ექვემდებარება და არც პოლიტიკურ ლოგიკას. აღნიშნულის მაგალითად თვით ნატოს მოქმედებაც კმარა, როდესაც რუსეთის გულის გასახეთქად ნატოს აღმოსავლეთით აფართოებ, თან აცხადებ, რომ გაფართოება არ გულისხმობს აგრესიასო, რუსეთს მშვიდობის მტრედად ვერ აქცევ.

მსოფლიო საჭადრაკო დაფაზე პოლიტიკური თამაშის წესებია შესაცვლელი და ვიდრე ამას ვერ მიაღწევენ, არც დასავლეთის მიერ საჭადრაკო პარტიაში დაშვებული შეცდომები გამოსწორდება.

შეცდომებს კი არვინ ასწორებს, პირიქით — დასავლეთიც და რუსეთიც ახალ შეცდომებს უშვებენ.!

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ჟირინოვსკი დუმაშიც ვაჭრობს

გამოცემა „Проект“-მა ჩაატარა ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც ვლადიმერ ჟირინოვსკისა და მისი ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობას შეეხებოდა.

ჟურნალისტების მიერ მოპოვებული მასალების თანახმად, დუმის დეპუტატები ЛДПР-დან სამ ნაწილად იყოფიან:

1. **კრემლის მიერ დელეგირებულები;**
2. **ჟირინოვსკის პირადი გარემოცვა;**
3. **ე.წ. „კომერციული დეპუტატები“.**

პირველ კატეგორიაში შედიან ის პირები, რომლებსაც ჟირინოვსკი უშუალოდ პუტინის მმართველი პარტიის მითითებით სვამს სიაში, ხოლო მეორე კატეგორიის დეპუტატები რუსეთის პირველი ლიბერალის პირადი სიმპათიით სარგებლობენ და ის მათ სრულიად ენდობა. განსაკუთრებული ყურადღება ჟურნალისტებმა მესამე კატეგორიას — „კომერციულ დეპუტატებს“ მიაქციეს და გაარკვიეს, რომ ეს ხალხი ვლადიმერ ვოლფოვიჩის, მისი ოჯახისა და პოლიტიკური ორგანიზაციის დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენენ. თითოეული მათგანისგან იგი, 100-დან 400 მილიონ რუბლს იღებს. ამ თანხის ნაწილი პარტიის ყულაბაში ე.წ. შემოწირულობის სახით შედის, ნაწილს კი თავად ჟირინოვსკის აძლევენ. პოლიტიკოსობის მსურველი ბიზნესმენებისათვის გარკვეული გრადაციაა დაწესებული — ხელმეორედ არჩევის მსურველები 100-200 მილიონს, ხოლო ე.წ. „ახალბედები“ — 300-400 მილიონს იხდიან.

ჟირინოვსკის პარტიის ერთ-ერთ მთავარ სპონსორად ლეონიდ სლუცკის ასახელებენ, რომელიც ძირითადად პარტიის ლიდერთა საზღვარგარეთულ ვოიაჟებს აფინანსებს, ხოლო ერთხელ მან ჟირინოვსკის გრანდიოზული დაბადების დღეც გადაუხადა. შეგახსენებთ, რომ დღეისათვის 450-კაციან რუსეთის დუმაში ЛДПР-ს 39 წევრი ჰყავს.

◎ „ეს თქვენი მიწაცაა...“

ვირტუალური ლექცია ქართველ ემიგრანტებზე

როცა ემიგრანტი ხარ და სამშობლოს მონატრებას გინდა მოერიო, თვალი უნდა გადაავლო შენი ქვეყნის ისტორიას. გაიხსენო ის წინაპრებიც, რომლებმაც სწორედ ემიგრაციაში უპატრონეს ქვეყნის სახელსა და დიდებას, და უცხოელებს ათქმევინეს „არის ასეთი ქვეყანა“.

მაგრამ ვინ გიამბობს მათი ცხოვრების ამბებზე ყველაზე უფრო შეულამაზებლად, პირუთვნელად, მიმზიდველად და შთამაგონებლად, თუ არა თვალსაჩინო მკვლევარი, მწერალი და საზოგდო მოღვაწე, დიდი წინაპრების მეისტორიე და მათი ღვაწლის აღმნუსხველი როსტომ ჩხეიძე. და ჩვენც მას მივმართეთ.

ქართველმა ემიგრანტებმა ისრაელში „ქართული ხელოვნების ცენტრი“ დავაფუძნეთ. ქართველი ემიგრანტების სულის მოსაოხებლად და ქართულ-ებრაული ურთიერთობების გასაღრმავებლად.

ქართველ ებრაელებთან ერთად უამრავი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტს ვახორციელებთ საკუთარი ხარჯებით, რომ გავაძლიეროთ ქართული სული უცხო მიწაზე. მაგრამ ჩვენს საიუბილეო საღამოზე სტუმრად მოსულმა მსოფლიო დონის მეცნიერმა იცხაკ დავიდმა, რომელიც ავტორია ნაშრომისა „ქართული პალესტინიადა“, გვითხრა: თავი უცხოდ არ იგრძნოთ. ქართველები აქ ემიგრანტები არ ხართ. ეს თქვენი მიწაცაა, რადგან თქვენი წინაპრები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ამ წმინდა მიწაზეო.

ღვაწლმოსილი ქართველი ებრაელი მეცნიერის ასეთმა ალერსიანმა სიტყვებმა სული გაგვითბო. წარსულის ცოდნა გამხნევებს და გაძლიერებს. უკეთესი საქმიანობისკენ გიბიძგებს. სწორედ ეს იყო მიზეზი იმ დღეს, 2019 წლის 11 იანვარს, ქართველი ებრაელის, ექიმისა და პოეტის, ქუთაისელი კაცის გია მოშიაშვილის ოჯახში რომ შევიკრიბეთ ერთმანეთისა თუ სამშობლოს მოსაფერებლად და როსტომ ჩხეიძე ვირტუალურად მოვიწვიეთ, რათა წაეკითხა ლექცია ქართველ ემიგრანტებზე: მიხაკო წერეთელსა, რევაზ გაბაშვილსა და გრიგოლ რობაქიძეზე.

მისალმება-გაცნობისას შეკრებილები წარვადგინეთ. თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლნი, ამჟამად ემიგრაციაში მყოფნი: თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი ზურაბ პოპიაშვილი დედოფლისწყაროდან, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი კობა ბერიძე ხობიდან, თადარიგის მაიორი გოჩა ბაბუნაშვილი წყალტუბოდან, რომელთა მხრებზე, მძიმე ემიგრანტული რეჟიმის მიუხედავად, დგას ქართული ხელოვნების ცენტრის მუშაობა, რადგან მათთვის „ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში“ პატარა საქართველოა და მასზე ზრუნვით საქართველოს ეფერებიან. ეს ის თაობაა, თემურ ჩალაბაშვილის ლექსი ანდერძივით რომ დაჰყვება: „ისეთი მიწა რად გინდა, სხვის ხელში გადადიოდეს, ამას სჯობია ქართველი სამზეოს არ დადიოდეს“.

მარი გიგაური თბილისიდან. მისი ლექსები დიდი ხანია, იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. ემიგრაციაში გაუჭირდებოდა, რომ არა ქართული ხელოვნების ცენტრი, სადაც აწ განსვენებულმა პოეტმა, ქართველებისა და ებრაელებისათვის პატივცემულმა ქალბატონმა ნანა დვირმა გაუწია რეკომენდაცია. ქართული ხელოვნების ცენტრმა დიდი სიხარული მიანიჭა ემიგრანტ ქალს, როცა გამართა მისი ლექსების საღამო ისრაელში.

დედა ჩხეიძე მყავსო, ბრძანა ხობელმა დავით გელაშვილმა და სიამოვნებით მოვიდა მწერალთან სასაუბროდ მეუღლესთან მარინა გოგოხიასთან ერთად. მათი ოჯახი გამოირჩევა სიკეთითა და ახალჩამოსული ემიგრანტებისადმი ზრუნვა-ყურადღებით.

ქუთაისიდან გელა ქობულაძე და კოტე სვანიძე, რომლებიც მოუთმენლად ელოდებიან უკვე დაგეგმილ მეორე შეხვედრას ბატონ როსტომთან.

ბათუმელი მალხაზ მიქელაძე, ახალგაზრდა მშენებელი კაცი, ქართულ ხელოვნების ცენტრს დაფუძნების დღიდან მხარში ამოუდგა, რადგან მიაჩნია, რომ ქართული სულიერების ასეთი კერა წმინდა მიწაზე უნდა არსებობდეს ემიგრანტებისთვის და ემიგრანტთა თანადგომით.

მე მიხაკო წერეთლის ჩამომავალი ვარ, — ასე გაეცნო გულღიმილიანი თამარ წერეთელი ბატონ როსტომს. ბებია მასზე უამრავ დასამახსოვრებელ ამბავს გვიყვებოდაო. წარმოშობით ქუთაისელი თამარ წერეთელი ქართველი ებრაელების რძალია. ცხოვრების ძირითადი ნაწილი ძველი თბილისის უბანში გაატარა და შვილებიც იქ დაზარდა. ამჟამად ისრაელის მოქალაქეა. მისი სახლის კარი, ისევე როგორც თბილისში, სტუმრისთვის მუდამ ღიაა. განსაკუთრებით გზაკვალაბნეული ემიგრანტებისთვის, ვიდრე ფეხს აუწყობენ უცხო ქვეყნის რიტმს. აბა მიხაკო წერეთლის შთამომავალს ავტორისაგან წიგნიც კი ეკუთვნის და ბატონი როსტომი დაჰპირდა, აუცილებლად გამოგიგზავნიო, თუმცა ქალბატონმა ციალა იოსებაშვილმა: თქვენი სტუმრობა ჯობიაო, — და ერთი კვირით ოჯახში მოიპატიჟა მწერალი. ქალბატონი ციალა ხუთი შვილის დედაა. თავად მანაშეროვა, იოსებაშვილის ქალია. ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში მის წინაპრებს და ოჯახს დიდი სიყვარული უთესიათ. საქართველოდან ისრაელში გამოსამგზავრებლად გამზადებულმა, სახლის კარი ისე არ გამოხურა, ვიდრე „ვეფხისტყაოსანი“ არ შეამატა ჩაბარგებულ ნივთებს.

ბატონი გია მოშიაშვილი არც ისე დიდი ხანია, ისრაელში ცხოვრობს, მაგრამ ქუთაისს ვერასდროს მოწყდება. თუ გეტყვით: შინ მივდივარო, — უნდა იგულისხმოთ, რომ ისრაელიდან ქუთაისში ბრუნდება. მისი ერთ-ერთი ლექსის ფრაზა ასე ჟღერს — „რა არის სული ქართული, ნეტა ვინ ახსნის ამასა“, ან — „ნოე ქართლოსში გაგრძელებული მე ებრაელად გულში მიზისა, მოსეს დიადი შთამომავალი ქართული სულით ჩემში იწვისა“.

ბატონ როსტომთან საუბრისას ყველაზე მეტი დრო სწორედ მას დავუთმეთ, რადგანაც სათქმელი ბევრი ჰქონდა ნოედან ქართლოსში გაგრძელებულ კაცს. აბა, ერთი შეხვედრა რას ამოწურავდა ემიგრანტი დიდი წინაპრების მოღვაწეობას და ჩადენილ სიკეთეებს? გადაწყდა: ყოველთვიურად შევხვდებით, მწერალი გამოძებნის დროს, როცა ემიგრანტებს სულიერი საზრდო სჭირდებათ, და გასამხნევებელ-გასაძლიერებლად გმირი წინაპრების გახსენება... კობა ბერიძე, ზურა პოპიაშვილი და გოჩა ბაბუნაშვილი კვლავ გენერლების: გიორგი მაზნიაშვილისა და გიორგი კვინიტაძის ამბებს გამოჰკითხავენ დაწვრილებით. თამარ წერეთელს უფრო მიხაკო წერეთლის ამბები აინტერესებს, გია მოშიაშვილს კითხვა-პასუხს რა დაულევს და... ასე გაგრძელდება კარგი საქმე, რომელიც წამოიწყო ქართული ხელოვნების ცენტრმა ისრაელში.

მარინა გელაშვილი

ცისფერყანწელთა ძვირფასი ორტომეული

ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა ცისფერყანწელთა ვებგვერდის www.naimorebi.ge, www.bluehorns.ge **და მიმოწერის ორტომეულის წარდგენა. პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. 14 ცისფერყანწელის მიმოწერა ორ ტომად გამოიცა. წიგნში წარმოდგენილი მიმოწერის 25 პროცენტი პირველად გამოიცა.**

პროექტის და ორტომეულის შესახებ ისაუბრა ლიტერატურის მუზეუმის დირექტორმა ლაშა ბაქრაძემ: ძალიან ხშირად გაიგონებთ, რომ ქართველი მწერლები, პირველ რიგში კი ცისფერყანწელები, მიესალმნენ საბჭოთა ხელისუფლებას 1921-ში. ეს მორიგი საბჭოური ტყუილია. 1924 წლამდე კომუნისტურ პრესას ქართული მწერლობა ბოიკოტს უცხადდება. ჩვენ მიერ გამოცემულ ცისფერყანწელთა მიმოწერაში შეგიძლიათ წაიკითხოთ ნიკოლო მიწიშვილის წერილი ლევან ღოღობერიძისადმი, გაგზავნილი 1923 წლის 22 მაისს:“ ...შენც კარგად იცი, რომ ქართული მწერლობის თქვენთან მუშაობას აქვს დიდი მორალური მნიშვნელობა და ისიც კარგად იცი, რომ დღემდე არც ერთი ქართველი მწერალი „კომუნისტში“ არ დაბეჭდილა. შენ იცი, რომ დაწყებული „ც.ყ.“ და გათავებული გამსახურდიათი — ქართული



ლიტერატურა „бойкотирует вашу прессу“... მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურ გარანტიებს მთავრობისგან ის ღებულობს...მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ უფსკრული თქვენსა და ჩვენ მწერლობას შორის არ ამოივსება და მეთოდი „პასიური წინააღმდეგობისა“ საქართველოში იარსებებს დიდხანს, მიუხედავად მატერიალური დაპირებისა და უზრუნველყოფისა და თუ მე დავთანხმდები თქვენს პრესაში მუშაობაზე, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ აქედან მივიღო რაიმე მატერიალური სარგებლობა და კმაყოფილება. შენ დამეთანხმები, რომ თქვენს პრესაში წერა იმ დროს და იმ დღეებში, როცა კ.აბხაზის სისხლი ჯერ არ გაცივებულა, არაკომუნისტი მწერლისთვის ძნელია და მე დარწმუნებული ვარ — ასეთ პირობებში არცერთი ქართველი მწერალი და პოეტი თქვენთან არ დაბეჭდავს რამეს“...

ცისფერყანწელთა მიმოწერა უიშვიათესი წიგნია ლიტერატურის მოყვარულთათვის.

რევაზ თოფურია

ლესია უკრაინკას შესახებ ბიოგრაფიულ ფილმს ნანა ჯანელიძე გადაიღებს

ინტერნეტსივრცეში ლესია უკრაინკას შესახებ ბიოგრაფიული ფილმის თიზერი გავრცელდა. თიზერის სცენარი და კონცეფცია ფილმის რეჟისორმა ნანა ჯანელიძემ შეიმუშავა, იდეა კი პროდაქშენ კომპანიებმა JS Films და FX FILM Georgia განახორციელეს.

თიზერის სიუჟეტში ასახულია ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მომენტი პოეტის ცხოვრებაში — დრო, რომელიც მან სერგეი მერჟინსკისთან ერთად მისი სიცოცხლის ბოლოს გაატარა. სწორედ მაშინ, ერთ ღამეს, ლესია უკრაინკამ მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოემა — „შეპყრობილი“ დაწერა. ნანა ჯანელიძე: „სინამდვილეში, მთელი გადამღები გუნდისათვის თიზერის გადაღება ერთგვარ გამოცდად იქცა — ჩვენ უნდა გაგვეგო, თუ რამდენად შეგვიძლია აღვადგინოთ იმ ლესიას სახე, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენი ფილმის სცენარსა და იდეას, რამდენად კომფორტულად ვგრძნობთ თავს ერთად მუშაობისას. ვფიქრობ, ყველაფერი საუკეთესოდ გამოვიდა.“

როგორც ფილმის პროდიუსერები იულია სინკევიჩი და მარია მოსკალენკო ამბობენ — ჩვენ ყველანი შევეჩვიეთ სკოლის კედელზე ჩამოკიდებულ პორტრეტსა და ლიტერატურის მასწავლებლის მიერ მოყოლილ მშრალ ფაქტებს. მაგრამ ჩვენ გვინდა, ვაჩვენოთ სრულიად განსხვავებული ლესია: ცოცხალი, თანამედროვე, ღრმად მგრძნობიარე ბუნებით“. ლესია უკრაინკას როლი თიზერში ახალგაზრდა მსახიობმა დარია პოლუნინამ შეასრულა. გადაღებები კი კიევში მიმდინარეობდა.

◎ მშვილდოსნობა

ერთი ქულის ფასი

საქართველოს ქალ მშვილდოსანთა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა ევროპის ზამთრის ჩემპიონატზე, რომელსაც თურქეთის ქალაქმა სამსუნმა უმასპინძლა. ჩვენმა გუნდმა მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

საქართველოს ნაკრების ღირსებას მსოფლიოსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონი (გუნდურში) ქრისტინე ესებუა, ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონი (გუნდურში) ხათუნა ნარიმანიძე და მისი შვილი ციკო ფუტკარაძე იცავდნენ.

ქართველმა მშვილდოსნებნა მეოთხედფინალში თურქეთს 6:2 (57:55, 59:57, 55:59, 59:58) სძლიეს, ნახევარფინალში კი მე-2 განთესვის მქონე უკრაინას 5:3 (57:57, 57:57, 59:56, 58:58) მოუგეს. ფინალში საქართველოს ნაკრების მეტოქე რუსეთი იყო. შერკინება ძალიან დაძაბული გამოდგა და მეტოქემ მხოლოდ დამატებით გადასროლაში გვაჯობა — 4:5 (58:58, 55:58, 57:55, 59:59, 29:30).

ევროპის პირველობის ქალთა გუნდური შეჯიბრის ბრინჯაოს პრიზიორი უკრაინა გახდა, რომელმაც ბელარუსი ასევე გადასროლაში 5:4 დაამარცხა.

როსტომ რაჭველიშვილი.

◎ ჭიდაობა

„ოქრო“ ბულგარეთიდან

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრი ბექა ბუჯიაშვილი (57 კგ.) ბულგარეთში გამართულ დან კოლოვისა და ნიკოლა პეტროვის სახელობის საერთაშორისო სარეიტინგო ტურნირის ჩემპიონი გახდა.

მან ბრწყინვალედ იასპარეზა და ოთხივე მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხა: ალჟირელ ჰერბაჩეს 13:2 და უკრაინის წარმომადგენელ არმენ არაქელიანს 13:10 მოუგო, ნახევარფინალში აშკარა უპირატესობით გაუსწორდა ფრანგ ელ ქუარაქს 12:2, ოქროს მედლისათვის კი თურქების მსოფლიოს პრიზიორ სულეიმან ათლის 6:3 აჯობა.

ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვა, შეგახსენებთ, რომ მანამდე ტურნირის ვიცე-ჩემპიონი ირაკლი მწითური, ხოლო ბრინჯაოს პრიზიორი ნიკა კენჭაძე გახდა.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის კარგი შანსი ჰქონდა საქართველოს ნაკრების ერთერთ ლიდერ გენო პეტრიაშვილსაც (125 კგ.), რომელიც ნახევარფინალამდე დამაჯერებლად მივიდა, თუმცა, ხელის ტრავმა მიიღო და უკრაინელ ალექსანდრ ხოციანოვსკისთან საჭიდაოდ ვეღარ გავიდა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ძიუდო

ქალები ტატამზე

საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრების წევრებმა ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გამართულ ევროპის ღია პირველობაზე 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და გუნდურ ჩათვლაში მე-7 ადგილი დაიკავეს.

ტურნირის ფინალში გასვლა ეთერ ლიპარტელიანმა (57 კგ.) და სოფიო სომხიშვილმა (+78 კგ.) მოახერხეს. ლიპარტელიანმა გზიდან უნგრელი იბოლია სიროკი, ებრაელი არიელ ბეზალელი, ბრიტანელი ლელე ნაირნე და ჩინელი ტონგჯუან ლუ ჩამოიცილა, გადამწყვეტი შერკინება კი პოლონელ არლეტა პოდოლაკთან წააგო.

მძიმეწონოსანმა სომხიშვილმა პრაღაში 3 გამარჯვება იზეიმა. სოფომ ესპანელ პატრისია ფერერ ბარტულოსი, უკრაინელი გალინა ტარასოვა და პოლონელი იულია სვიატკიევიჩი დაამარცხა, მაგრამ ფინალში ჩინელ იან ვანგს ვეღარ გაუმკლავდა.

კვარცხლბეკზე ასვლა შეძლო მარიამ ჭანტურიამაც (70 კგ.), რომელმაც შეჯიბრი უნგრელ ეველინ სალანკისთან გამარჯვებით გახსნა, მეოთხედფინალი კი მომავალ ვერცხლისმედალოსან სარა მეკელბურგთან (გერმანია) წააგო. მარიამმა რეპეშაჟში ფრანგ მაია ტოიერსა და ჩინელ ანქი სუნს აჯობა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

ევროპის ღია პირველობაზე ძალები ასევე სცადეს, თუმცა, საპრიზო სამეულში ვერ მოხვდნენ მარიამ ციხელაშვილი, ნატალია ყიფშიძე (ორივე — 48 კგ.), მარიამ ჯანაშვილი და ტატიანა ლევიცკა-შუკვანი (ორივე — 52 კგ.).

გიორგი შოთაძე

◎ ჭადრაკი

დედის დღეს მიეძღვნა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართული დედის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში საერთაშორისო დიდოსტატ სოფიო გვეტაძის გამარჯვებით დასრულდა.

მან 8-დან 7.5 ქულა მოაგროვა და ერთი ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ სოფო ნიკოლაძეს. მესამე ადგილზე 6 ქულით ინგა ხურცილავა განთავსდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ბრიუსელიდან მე-11 ტიტული გამოჩნდა

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა რაგბი ევროპის ჩემპიონატის ეგიდით ბელგიასთან მე-5 მატჩი ჩაატარა და როგორც აღნიშნულ მეტოქესთან, ასევე მიმდინარე ტურნირზე ასპროცენტიანი შედეგი შეინარჩუნა. „ბორჯღალოსნები“ „შავ ეშმაკებს“ ბრიუსელის „პტი ეიზელზე“ გაეჯიბრნენ და 46:6 იმარჯვეს.

შეგახსენებთ, რომ გუნდები მე-3 ტურის მატჩს განსხვავებულ მდგომარეობაში შეხვდნენ. მილთონ ჰეიგის შეგირდებმა საწყის შეხვედრებში რუსეთთან ერთად, უმთავრეს კონკურენტებად მიჩნეულ რუმინეთსა და ესპანეთს, შესაბამისად, კლუჟსა და თბილისში, 18:9 და 24:10 სძლიეს. ბელგიელებმა სასტარტო ტურში გერმანიას 29:22 კი მოუგეს, თუმცა, 2 კვირის წინათ სოჭში ძალიან უსუსურად გამოიყურებოდნენ და რუსებთან 7:64 განადგურდნენ.

საინტერესოა, რომ „შავ ეშმაკებს“ შინაურ კედლებში მიჯრით 3 მატჩი ჰქონდათ მოგებული (გერმანიასთან 69:15 და 29:22, ესპანეთთან 18:10) და, ალბათ, წარმატებული სერიის გაგრძელება ძალიან სურდათ, თუმცა, შემადგენლობების გამოცხადებისთანავე ნათელი გახდა, რომ დასავლეთ ევროპელებს კარგი არაფერი ელოდათ.

ესპანეთთან მოგებული მატჩის შემდეგ ჰეიგმა სასტარტო რაზმში 6 მორაგბე შეცვალა — 4 ხაზში და ორიც შერკინებაში, თუმცა კი, შერკინების პირველი ხაზი უცვლელი დარჩა. პირველი წუთებიდან მინდორზე ისევ გურამ გოგიჩაშვილი, შალვა მამუკაშვილი და ლევან ჩილაჩავა გავიდნენ.

მეორე ხაზში, ნოემბრის ტესტების შემდეგ, სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნდა და გიორგი ნემსაძეს შეუწყვილდა ნოდარ ჭეიშვილი. ფრანგულ „ბრივში“ მიღებული წითელი ბარათის შემდეგ 5-კვირიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და თამაში შერკინების შემკვრელად დაიწყო ოთარ გიორგაძემ, ფლანკერებად კი კვლავაც გიორგი თხილაიშვილი და გიორგი ცუცქირიძე მოგვევლინენ.

9 ნომრის პოზიციაზე, 2-წლიანი შესვენების შემდეგ, სასტარტო რაზმში ადგილი დაიბრუნა გიორგი ბეგაძემ, რომელმაც ეროვნული გუნდის მაისურით 65-ე მატჩი ჩაატარა. ზედიზედ მეხუთე მატჩში მგეზავის როლი ახალგაზრდა თედო აბუანდაძეს ერგო, შუამარბის რანგში კი ნაკრების კაპიტანი მერაბ შარიქაძე გამოჩნდა, რომელმაც ტრავმა მოიშუშა და გიორგი კვესელაძეს შეუწყვილდა.

მოშუშდა და ფულბექის პოზიციაზე სასტარტო თხუთმეტეულში ვიხილეთ სოსო მათიაშვილი, ფრთებზე კი ზურაბ ძნელაძე და მირიან მოდებაძე გამოჩნდნენ. ამ უკანასკნელს სანაკრებო დებიუტი 2017 წლის ნოემბერში ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ ტრავმას იშუშებდა და „ბორჯღალოსნებს“ რაგბი ევროპის პირველ ორ მატჩში შეცვლებზე დაუბრუნდა.

საინტერესოდ გამოიყურებოდა საქართველოს ნაკრების მარქაფაც, სადაც ისევ ვიხილეთ 9 ნომერი გელა აფრასიძე, სხარტი ბურჯი ზურაბ ჟვანია და გამოცდილი შალვა სუთიაშვილი. აღსანიშნავია 18 წლის ვანო კარკაძის ფაქტორიც, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში დებიუტი თებერვალში რუმინეთთან მატჩში ჰქონდა, თუმცა, ასაკის მიუხედავად გუნდში ადაპტაცია არ გასჭირვებია.

რუსეთში ჩატარებულმა კატასტროფულმა მატჩმა კარდინალური ნაბიჯებისკენ უბიძგა ბელგიის ეროვნული ნაკრების თავკაც გიომ აჟაკს. მწვრთნელის გადაწყვეტილებით, სასტარტო რაზმში 9 ცვლილება და 1 გადაადგილება მოხდა.

შედეგად, იზაკ მონტუაზიმ ჰავბექობიდან მგეზავის პოზიციაზე გადაინაცვლა, ადგილები კი მხოლოდ კაპიტანმა თომას დინსტმა (კვაჭი), ბურჯმა რომენ პინტემ, ფლანკერმა ჟიონ ბენუამ, შუამარბმა ლუი დე მოფარცმა და გარემარბმა თომას ვალრაფმა შეინარჩუნეს. სოჭის შეხვედრასთან შედარებით, მარქაფაში მხოლოდ ბურჯი მარტინ იესენი დარჩა.

დაიწყო მატჩი და სტარტი აიღო ქართველთა მუდმივმა იერიშებმაც. ინგლისთან ვარჯიშმოვლილი „ბორჯღალოსნების“ ხაზი ნათელი იყო: მილტომ ჰეიგის შეგირდები ნებისმიერი პოზიციიდან შეტევის წამოწყებას ცდილობდნენ და თანაც, ეს ხელდახელ ხდებოდა, ფეხით ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა კი კატეგორიულად „აკრძალული“ გვქონდა.

მატჩი თავიდანვე კარგ ვარჯიშად იქცა და შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებმა დასახულ მიზანს თავი კარგად გაართვა. საბოლოო ჯამში, 8 ლელო დავდეთ და თანაც მათგან „ბორჯღალოსნებისთვის“ ნაცადი ძალისმიერი ხერხით გატანილი ნაკლები იყო. მიუხედავად იმისა, რომ „შავ ეშმაკებს“ სახიფათო იერისა არაფერი ეტყობოდათ, ჩვენების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მასპინძლებს საკმაოდ მაღალი ტემპი შესთავაზეს და გასაკვირი არ ყოფილა, რომ ანგარიში ძალიან სწრაფად იზრდებოდა.

დუბლის შესრულება მოახერხა ცუცქირიძემ, თავი ზურაბ ძნელაძემაც გამოიჩინა, ბელგიელთა მორიგი შერკინების მერე ბურთი ლელოში შეცვლაზე შესულმა გელა აფრასიძემ გადადო, ბოლოს კი გიორგი თხილაიშვილმაც გაინავარდა და საბოლოოდ 46:6 ვიმარჯვეთ. სათქმელია ისიც, რომ მე-2 ნახევარში ბელგიელთა ხაზის სუფთად გაჭრა მეტჯერ მოვახერხეთ და ლელოებიც უფრო ლამაზი გამოვიდა.

კოგა კოგახიძე

არდავიწყება

ბელა დურგლიშვილი

ტკბილი სიბერისა და გასაბედნიერებელ ქალიშვილთა მყუდრო ოჯახური კერის მოწყობის მოლოდინში შემოაღამდა ჩვენი რედაქციის მშვენებას, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ღირსების ორდენის კავალერსა და უკურნებელ სენთან უხმაუროდ, მშვიდად მებრძოლ **ბელა დურგლიშვილს**.

შემთხვევითი არ ყოფილა, ეს წიგნიერებით გამორჩეული ქალბატონი სწორედ განათლების სისტემის ავკარგს ჩვეული პროფესიონალიზმით რომ აშუქებდა და მომავალი თაობის სულიერი ფორმირების უმნიშვნელოვანეს საკითხებს ფასდაუდებელ სტრიქონებს უძღვნიდა.

მისი ხალასი ნიჭი მხოლოდ კალმოსნის ჩარჩოებში ვერ ეტეოდა და გემოვნებიან საზოგადოებას მრავლისმეტყველი კარიკატურებითაც ანებივრებდა.

თითქმის ნახევარსაუკუნოვანმა ჟურნალისტურმა მოღვაწეობამ და ლოგინად ჩავარდნილი ძვირფასი მეუღლის გაჭიანურებულმა სამაგალითო მოვლამ თვალსა და ხელს შუა დაანგრია სულიერი და ფიზიკური სილამაზით მადლცხებული ბელა დურგლიშვილის ჯანმრთელობა და...

დღეს მისი გარდაცვალებიდან წელიწადი სრულდება.

ნათელი და სანთელი, პატივი და არდავიწყება, ჩვენო ბელა!

„სრ“ რედაქცია

სანთელი

ნათელა და ვახტანგ დავითაიები თანაგრძნობას უცხადებენ მეგობარს, ნათესავს რევაზ ღვინჯილიას მეუღლის, ქალბატონ

ნინა ღვინჯილიას

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

ლამარა მეხუზლა

ორმოცი დღე შესრულდა, რაც გარდაიცვალა აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის ყოფილი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი **ლამარა მეხუზლა,** უაღრესად განათლებული, კეთილშობილი და სათნო ქალბატონი.

დაიბადა 1932 წლის 20 ოქტომბერს აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთ გამორჩეულ ოჯახში.

1956 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

1960 წელს დაამთავრა კლინიკური ორდინატურა საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალში, სადაც შემდგომში მუშაობდა უფროს მეცნიერ-მუშაკად.

1967 წელს მოსკოვში კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ცენტრალურ ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1985 წელს მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება, ხოლო 2016 წელს მისი სამეცნიერო ხარისხი გათანაბრდა დოქტორის აკადემიურ ხარისხთან.

1994 წლიდან იგი ქ. მოსკოვში მუშაობდა №7 პოლიკლინიკის თერაპევტად, თუმცა სამშობლოსთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია. ყველგან, სადაც იმუშავა, დატოვა თავისი ღირსეული კვალი და სახელი.

ლამარა მეხუზლა ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული 50 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. იგი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, საკავშირო და რესპუბლიკურ კონფერენციებში. აქტიურ პრაქტიკულ კონსულტაციებს და მეთოდურ დახმარებას უწევდა აფხაზეთის საკურორტო დაწესებულებებს.

სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად ლამარა მეხუზლა ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. კითხულობდა ლექციებს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სოხუმის სამედიცინო სასწავლებელში.

ლამარა მეხუზლას ამკობდა გამორჩეული ადამიანური თვისებები, იგი იყო ავადმყოფების მიმართ ყურადღებიანი და მზრუნველი, გულთბილი, კეთილი, სამშობლოს ერთგული მოქალაქე. მტკივნეულად განიცადა საყვარელი აფხაზეთის და მისი ულამაზესი ქალაქის სოხუმის დაკარგვა. ეს გაუნელებელი ტკივილი კი მან თან გაიყოლა მარადისობაში.

მისი ნათელა ხსოვნა მარად დარჩება მეგობრებისა და ნათესავების გულში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ლამარა მეხუზლას სული, ამინ!

ახლობლები.

აქტიური პროცესები მარტში

გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია 9-11, 14, 21 და 27-29 მარტს. ამ დღეებში დიდია ციკლონებისა და ძარიშხლების წარმოშობის ალბათობა, ასევე სავარაუდოა ყველა სახეობის ავარიულობა, დაძაბულობა სოციუმში და სეისმოაქტივობა.

6 — ახალმთვარეობა, მთვარისა და ნეპტუნის შეერთება თევზების თანავარსკვლავედში. ცუდი დღეა ახალ საქმეთა წამოსაწყებად, საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებათა დასაგეგმად და მისაღებად. სავარაუდოა ყურადღების მოდუნება, გონების ერთგვარი გაბნეულობა. მომატებულია საავარიო და ტრავმებსაშიში სიტუაციების წარმოშობის ალბათობა. მოსალოდნელია ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, ტერფების ტკივილი, შეშუპებები, ალერგიული ხასიათის კანის დაავადებები. მოერიდეთ ტრავმატიზმს, ინფექციებს, უარი თქვით სპირტიან სასმელებსა და ყავაზე. სასარგებლოა წყლის პროცედურები და ტერფების მასაჟი, ნუ გადატვირთავთ თვალებს, ფეხებსა და ნერვულ სისტემას.

9 — მთვარის ურანთან შეერთება კუროს თანავარსკვლავედში. შესაძლოა ცხვირის, ყელის, ფილტვებისა და ბრონქების, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა წარმოშობა. მოერიდეთ პირისა და ყელის ლორწოვანი გარსის გამღიზიანებელ საკვებსა და სასმელებს, გაციებას, ნუ დაძაბავთ ყელის იოგებს, ასევე გირჩევთ თავი შეიკავოთ ქვედა ყბის კბილების პროტეზირებისგან. ნუ დაგეგმავთ შეხვედრებს, საპასუხისმგებლო საქმეებს, რადგან ვითარება შეიძლება მყისიერად შეიცვალოს.

11 — მთვარისა და მარსის შეერთება კუროს თანავარსკვლავედში. სავარაუდოა თავის ტკივილები, კისრის მალების ოსტეოქონდროზი, ცხვირ-საყლაპავისა და ყურების ანთება. მოერიდეთ ტრავმებს, გაციებას, ინფექციებს. კარგი დროა სწავლისთვის, საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის, მოლაპარაკებებისთვის. სასარგებლოა წყლის პროცედურები, ფიზიკური ვარჯიში და მცირედი შეზღუდვები საკვების მიღებისას.

14 — მთვარის პირველი მეოთხედი კიბორჩხალის თანავარსკვლავედში. მოსალდნელია კონფლიქტების წარმოშობა შინ და სამსახურში. საერთო დაძაბულობას შეუძლია ნევროზულობისა და თავის ტკივილების წარმოშობა, ასევე კუჭის, კუჭქვეშა ჯირკვლისა და ღვიძლის ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება. თავი მოარიდეთ ტკბილ სასმელებსა და მძიმე საკვებს. ხელსაყრელი დროა ოჯახში სიმყუდროვის შესაქმნელად, სეირნობისა და დასვენებისთვის.

21 — მზე გადადის ვერძის თანავარსკვლავედში, სავსემთვარეობა სასწორის თანავარსკვლავედშია, გაზაფხულის ბუნიობა. სავსემთვარეობისას ხშირია ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, შესაძლოა პრობლემების წარმოშობა გულთან, კუჭთან, თირკმლებთან, შარდის ბუშტთან დაკავშირებით. სახიფათოა ჭარბი ფიზიკური აქტივობა, ზედმეტი სიჩქარე, უყურადღებობა. გამორიცხული არ არის ტრავმები, უბედური შემთხვევები და მოწამლვები. ეს დრო სახიფათოა არასტაბილური ფსიქიკის მქონე ადამიანებისთვის, საჭიროა ემოციების მოთოკვა, სიდინჯე და სიმშვიდის შენარჩუნება.

27 — მთვარის იუპიტერთან შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში. სავარაუდოა ღვიძლის, ფილტვებისა და ნერვული სისტემის დაავადებათა გამძაფრება. მოჭარბებულია უბედურ შემთხვევათა ალბათობა. უარი თქვით მძიმე საკვების, ალკოჰოლის, ტკბილეულის მოხმარებაზე. მოერიდეთ სტრესებსა და კონფლიქტებს, მოუფრთხილდით ნერვულ სისტემას. სასარგებლოა სუნთქვითი ვარჯიშები და მასაჟი, კარგი იქნება საყდარში შესვლა და სეირნობა. მშვენიერი დროა კონტაქტების დასამყარებლად და ახალ საქმეთა წამოსაწყებად.

28 — მთვარის ბოლო მეოთხედი თხის რქის თანავარსკვლავედში. შესაძლოა დეპრესია, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, ძვლების, სახსრებისა და კუნთების ტკივილები, საერთო ტონუსის დაქვეითება. მოსალოდნელია არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლა, უგუნებობა. მოერიდეთ გაციებას, ინფექციებს, გამორიცხეთ დიდი ფიზიკური დატვირთვა, გაუფრთხილდით ხერხემალსა და სახსრებს, ეცადეთ, მეტი დაისვენოთ. ეს დღე ხელსაყრელია მეგობრული შეხვედრებისთვის.

29 — მთვარის სატურნთან და პლუტონთან შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში. გამორიცხული არ არის ძვლებისა და სახსრების — ართროზის, ართრიტის, რევმატიზმის, ხერხემლის ოსტეოქონდროზის გამძაფრება. საჭიროა საყრდენ-მამოძრავებელ აპარატზე დატვირთვის შემცირება, სახსრების სითბოში ყოფნა. მოერიდეთ ტრავმებს, ინფექციებსა და გაციებას. ფინანსური ოპერაციების წარმოებისას საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა, ასევე მოსარიდებელია გარშემო მყოფებთან დაპირისპირებები. უმჯობესი იქნება თუ ყურადღებას მიმდინარე სამუშაოს შესრულებაზე გადაიტანთ.

CO-თი ოჯახის 7 წევრი მოიწამლა

რუსთავში CO-თი ოჯახის 7 წევრი მოიწამლა, რომელთაგან 6 ბავშვია. შემთხვევა 3 მარტს გვიან ღამით, რუსთავის მე-11 მიკრორაიონში მოხდა. ბავშვები სასწრაფო სამედიცინო ბრიგადამ ქალაქის ბავშვთა საავადმყოფოში გადაიყვანა. ყველა მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. წინასწარი ინფორმაციით, მოწამვლის მიზეზი სახლში დამონტაჟებული ღია წვის გამათბობელია. ბავშვებს შორის ყველაზე უფროსი ცხრა წლის, ყველაზე პატარა კი ერთი წლისა.

მირზა სუბელიანს 1 წლითა და 1 თვით პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ მირზა სუბელიანი დანაშაულის დაფარვაში დამნაშავედ ცნო და 1 წლითა და 1 თვით პატიმრობა შეუფარდა. გადაწყვეტილება მოსამართლე ლელა ნოზაძემ გამოაცხადა. მირზა სუბელიანს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით ჰქონდა წაყენებული, რაც დანაშაულის შეუტყობლობას ითვალისწინებს. თუმცა პროცესზე წაყენებული ბრალი გადაკვალიფიცირდა 375-ე მუხლით და სასამართლომ დამნაშავედ დანაშაულის დაფარვაში ცნო.

ევროვიზიაზე საქართველოს სახელით ოთო ნემსაძე იმღერებს

პირველი არხის მუსიკალური შოუს „საქართველოს ვარსკვლავის“ გამარჯვებული **ოთო ნემსაძე გახდა.**

მეგაშოუს გამარჯვებული საქართველოს სახელით ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე ისრაელში რომან გიორგაძის სიმღერით „სულ წინ იარე!“ წარდგება.

თავის ატკივების შედეგად „თავს ნუ აიტკივებთ“

დასამალი არ არის, რომ თავის ტკივილს თითქმის არავინ აქცევს ყურადღებას, რასაც ყველაფერთან ერთად, „თავის ნებაზე“ მიშვებული ტელერეკლამაც დიდად უწყობს ხელს.

როგორც ჩანს, ამით ის ფაქტი აიხსნება, რომ აფთიაქებში ყველაზე მეტად ტკივილგამაყუჩებელი წამლები იყიდება. არადა, ბევრმა არ იცის, რომ მათ ბევრი თანმდევი მოქმედება ახლავთ, რომლებიც ჯანმრთელობისთვის მეტად მავნეა. მათ შორის:

– ისინი ალერგიულ რეაქციებს იწვევენ;

– ღვიძლის ქსოვილის დაზიანების შედეგად შეიძლება ჰეპატიტისა და ღვიძლის მწვავე უკმარისობის მიზეზი გახდნენ;

– ჩაგრავენ სისხლის წარმოშობის პროცესს, ამცირებენ თრომბოციტების, ლეიკოციტებისა და ერითროციტების ოდენობას;

– პროვოცირებენ ეროზიებისა და წყლულების წარმოშობას;

– მათი ხშირი მოხმარება დამოკიდებულების გაჩენის მიზეზი ხდება.

არადა, თავის ტკივილი – ესაა ორგანიზმის დაცვითი რეაქცია, მასში რაღაც პრობლემების წარმოქმნის ნიშანი. ამიტომაც საჭიროა ტკივილის მიზეზის დადგენა და მისი გაუვნებელყოფა და არა ანალგეტიკებით მისი შენიღბვა.

წარმატებულ ბიზნესმენებო, გონიერო ქველმოქმედნო, მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

მგზავრმა საკვებში ადამიანის კბილი იპოვა

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ავიაკომპანიის Singapore Airlines-ის მგზავრმა საკვებში ადამიანის კბილი იპოვა. როგორც Daily Mail-ი წერს, ავსტრალიელი ბრედლი ბეიტონი, რომელიც მელბურნის მიმართულებით მგზავრობდა, თვითმფრინავში ბორტგამცილებლისგან დარიგებული საკვები აიღო. ბრინჯის ჭამისას მგზავრმა საკვებში ადამიანის კბილის მსგავსი საგანი იპოვა.

„მთელი დარჩენილი მგზავრობის პერიოდში მქონდა უსიამოვნო შეგრძნება, რომ საკვებში ვიღაცის კბილი იყო. ეს იყო ამაზრზენი. ბორტგამცილებელი, რომელიც მე მემსახურებოდა, დაჟინებით მიმტკიცებდა, რომ მას უნდა წაეღო კბილი გამოკვლევებისათვის. ის ასევე ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ საკვებში აღმოჩენილი საგანი იყო პატარა ქვა, მაშინ როდესაც უტყუარი იყო, რომ ეს იყო კბილი“ – ყვება ავსტრალიელი.

დისკომფორტის ასანაზღაურებლად, მგზავრს 75-ევროიანი ვაუჩერი გადასცეს, რისი გამოყენებაც Duty Free-შია შესაძლებელი. თავად ავიაკომპანიაში განმარტავენ, რომ ამ დროისათვის ამ ფაქტის მოკვლევა მიმდინარეობს. ხოლო მას შემდეგ, რაც ექსპერტიზის პასუხი გახდება ცნობილი, გადაწყდება, რა ქმედებებს მიმართავს ავიაკომპანია.

ტორნადომ ალაბამას გადაუარა

აშშ-ის ალაბამას შტატში ტორნადოს 22 ადამიანი ემსხვერპლა. ამის შესახებ ადგილობრივი მედია პოლიციაზე დაყრდნობით იუწყება.

მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია 14 დაღუპულისა და 40 დაშავებულის შესახებ. შერიფ ლი ჯეი ჯონსის თქმით, დაღუპულთა რაოდენობა, შესაძლოა კიდევ გაიზარდოს, რადგან არსებობს ცნობები დაკარგულთა შესახებ.

ტორნადომ ძლიერი ზიანი მიაყენა საცხოვრებელ სახლებსა და სხვა შენობებს. მძიმე მეტეოროლოგიური პირობების გამო ალაბამას შტატის გუბერნატორმა კეი აივიმ მთელს შტატში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

ყველი... ქოლესტერინის მტერი

დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯის კვლევის თანახმად, ადამიანები, რომლებიც დიდი რაოდენობით ყველს მიირთმევენ, უფრო გამხდრები არიან, ვიდრე ისინი, ვინც მას არ ჭამს. ამასთანავე, მკვლევარები აცხადებენ, რომ ყველი არ ზრდის ქოლესტერინის დონეს.

მეცნიერებმა შეისწავლეს 18-დან 90 წლამდე 1500 ადამიანის ორგანიზმზე რძის პროდუქტების – რძის, ყველის, კარაქის, იოგურტისა და ნაღების მიღების გავლენა. მათ აღმოაჩინეს, რომ რძის პროდუქტების მოყვარულ ადამიანებს დაბალი აქვთ სხეულის მასის ინდექსი, სხეულში ცხიმიანობის პროცენტული მაჩვენებელი და სისხლის წნევაც. მეტიც, კვლევის მონაწილეები, რომლებიც დაბალი ცხიმიანობის შემცველობის რძის პროდუქტებს მიირთმევდნენ, ქოლესტერინის უფრო მაღალი დონე ჰქონდათ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიგეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6736; ევრო - 3.0415;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5420
100 რუბლი - 4.0624; თურქული ლირა - 0.4989;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5774;
1000 სომხური დრამი - 5.4474.

ამინდი 5 მარტისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -3, დღე +16
მთიანი რაიონები - ღამე -10, დღე +12
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -1, დღე +18
მთიანი რაიონები - ღამე -9, დღე +13
თბილისი: ღამე -2, დღე +15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge